პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 47-ე წელი
№ 84 (13766)

კვირა, 9 აპრილი, 1967 წ.

ფასი 2 კაპ.

ნოგათი სამშობლოს

□ **დიდი** ენთუზიაზმით მუშაობს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „წყალმშენის“ ტრესტის ჰიდროტექნიკოსთა, მექანიზატორთა, ელექტრიკოსთა მრავალრიცხოვანი კოლექტივი, რომელიც დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავ საიუბილეო ვახტზე დგას. გრაფიკის გასწრებით სრულდება ზემოალაზნის, ქვემო სამგორის, საგურამოს, კავთისხევის, თელეთისა და სხვა სარწყავი სისტემების მშენებლობის სამუშაოები. მიმდინარეობს აგრეთვე დიდი ფართობების გაწყლიერება საძოვრებისა და სათიბებისათვის.

ტრესტის ცხრავე სამშენებლო სამმართველო ხარისხიანად და მნიშვნელოვანი გადაჭარბებით ასრულებს სახელმწიფო დავალებებს. მოლიანად ტრესტმა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა კვარტალური გეგმა შეასრულა 112,8 პროცენტით. აქედან წყალსაძეურნეო ობიექტთა მშენებლობისა — 114,1 პროცენტით. გეგმის გადამეტებით მოირწყა 400 ჰექტარი მიწა. 200 ჰექტარი მიწა მორწყეს იმ სარწყავი ქსელის საშუალებით, რომელიც ახალციხის რაიონის აწყურის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობის ტერიტორიაზე აშენდა. ამდენივე ჰექტარი მიწა მოირწყა საგარეჯოს რაიონში. (საქდესი).

□ **ქუთაისი.** (საკ. კორ.). დიდი ოქტომბრის საიუბილეო შრომითს ვახტზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. ავტომშენებლებმა პირველი კვარტალის გეგმის გადამეტებით მისცეს საამბოლოს ასეული ათასობით მახეთის პროდუქცია.

გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათეულობით ავტომობილი. გადაჭარბებით არის შესრულებული აგრეთვე კოოპერირებულ მოწოდებათა დავალება. ქარხანა რენტაბელურად მუშაობს.

საიუბილეო ვახტზე განსაკუთრებით დაწინაურდნენ მთავარი კონვეიერის, შასის, საიარაღო-სატვირთო და № 3 სამსხმელო საამქროთა კოლექტივები, რომლებსაც ა. შენგელია, ბ. გურესაშვილი, ს. ბარდაველიძე და ზ. კლდიაშვილი ხელმძღვანელობენ.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საკითხი 1966-1967 წლების ზამთრის პერიოდში მოსახლეობის კარტოფილითა და ბოსტნეულით მომარაგების ნაკლოვანებათა შესახებ, და აღნიშნა, რომ „საქმთავარკონსერვხილბოსტნისა“ და „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელობის (ამხანაგები ხოფერია, ეცადაშვილი, ფალავანდიშვილი) არადამაკმაყოფილებელი მუშაობისა და დაკისრებული საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების შედეგად 1967 წლის 1 კვარტალში შეფერხდა კარტოფილითა და ბოსტნეულით ვაჭრობა თბილისსა და რუსთავში. „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“ „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ სავაჭრო ქსელში რეალიზაციისათვის გამოყოფილი ჰქონდა 8.100 ტონა კარტოფილი და 20 ათასი ტონა ბოსტნეული, ფაქტიურად კი მიღებულ იქნა 8.225 ტონა კარტოფილი და 18.714 ტონა ბოსტნეული, აქედან 3.250 ტონა კომბოსტო.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 27 აგვისტოს დადგენილებით „საქმთავარკონსერვხილბოსტანს“ დაევალა დიდი ხნით შეენახა 6 ათასი ტონა კარტოფილი. მაგრამ არც „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ ხელმძღვანელობას, და არც „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ დირექციას არ განუხორციელებიათ საჭირო ღონისძიებანი ამ დადგენილების შესასრულებლად, რის შედეგადაც 1967 წლის დამდეგისათვის „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ საცავებსა და სავაჭრო ქსელში იყო მხოლოდ 2.823 ტონა კარტოფილი, აქედან სასურსათო — 2.310 ტონა.

„საქმთავარკონსერვხილბოსტანსა“ და „თბილისხილბოსტანვაჭრობაში“ ჯერჯერობით არ ეკიდებოდნენ მოსახლეობის მოთხოვნის შესწავლას, არ ითვალისწინებდნენ კონიუნქტურის ცვლილებებს, არ განუხორციელებიათ დროული ღონისძიებანი კარტოფილის მარაგის შესავსებად.

სერიოზული სიძნელეები შეიქმნა აგრეთვე მოსახლეობის ბოსტნეულით (კომბოსტოთი) მომარაგების საქმეში. 1967 წლის 1 იანვრისათვის კომბოსტოს ზამთრის მარაგი „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ სისტემაში მხოლოდ 69 ტონას შეადგენდა. „საქმთავარკონსერვხილბოსტანსა“ და „თბილისხილბოსტანვაჭრობას“ შეეძლოთ 1966 წლის მეოთხე კვარტალში დამზადებული კომბოსტოს მნიშვნელოვანი ნაწილი საზამთროდ შეენახათ, მით უმეტეს, რომ ამისათვის ჰქონდათ საჭირო ტევადობანი.

უპასუხისმგებლობისათვის, რის გამოც შეფერხდა კარტოფილისა და ბოსტნეულის ვაჭრობა 1966-1967 წლების ზამთრის პერიოდში, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ ამხანაგებს პ. ნ. ხოფერიასა და ვ. ი. ფალავანდიშვილს გამოუცხადა სასტიკი საყვედური სააღრიცხვო ბარათში შეტანით, ხოლო ამხ. ი. მ. ეცადაშვილს — საყვედური.

მიზანშეწონილად არის მიჩნეული კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამზადების, ვაჭრობისა და კონსერვების წარმოებისათვის მთელ მუშაობას ეწეოდეს ერთიანი ორგანიზაცია — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული მთავარი სამმართველო — „საქმთავარკონსერვხილბოსტანი“. სამმართველოს უფროსად დამტკიცებულია ამხ. დ. შარაშიძე, რომელიც აქამდე მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მმართველად მუშაობდა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ „საქმთავარკონსერვხილბოსტანსა“ და „თბილისხილბოსტანვაჭრობას“ დავალა სათანადო წესრიგი დაამყარონ კარტოფილის, ბოსტნეულისა და ხილის დამზადების, შენახვისა და შეუფერხებელი ვაჭრობის საქმეში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მებოსტნეობა-მერძევეობის ტრესტს წინადადება მიეცათ უზრუნველყონ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა დროულად და შეუფერხებლად მიაწოდონ მაღალხარისხოვანი პროდუქცია დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციებს.

ბიურომ დაავალა საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო კომიტეტებს, რაიკომებს, აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკების მინისტროა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასკომს, საქალაქო აღმასკომებს, რაიონული აღმასკომებს გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობისადმი, რათა მოსახლეობა შეუფერხებლად მოამარაგონ კარტოფილით, ბოსტნეულითა და ხილით.

საიუბილეო ვახტზე

თქვენთვის, კაშხალის მშენებლებო!

ზაგეგმითი პროდუქცია

თბილისი. „გაზაპარატის“ ქარხნის კოლექტივმა (დირექტორი ზ. ჯაფარიძე), რომელიც ჩაბმულია ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავ საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, მნიშვნელოვანი წარმატება მოიპოვა პირველი კვარტალის სახელმწიფო გეგმების შესრულებაში.

სამი თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის 103,4 პროცენტით განაღდების შედეგად აქ მიიღეს 22 ათასი მანეთი ზეგეგმითი პროდუქცია. 3 პროცენტით გადაჭარბებულია აგრეთვე ამავე პერიოდში გათვალისწინებული სასაქონლო პროდუქციის დამზადების დავალებაც.

„უკვე წელიწადზე მეტია დაბა ჯვარში, იქ, სადაც მსოფლიოში უმაღლესი კაშხალის მშენებლობა მიმდინარეობს, ქარხანა-ხომალდი დრაგა გუგუნებს, რომელიც ენგურის ფსკერიდან საათში 150-200 კუბურ მეტრ ინერტულ მასალას აწვდის მშენებლობას.

საიუბილეო წელს ახლებურად მუშაობს დრაგას ეკიპაჟი. ადრე 1500 ტონიან გიგანტს მანევრირება უჭირდა, ხშირად სხვადასხვა საშენი მასალა ერთმანეთში იყრებოდა, არ ჰყოფნიდათ ტრანსპორტიორები, ამჟამად კი ყველაფერი სრულყოფილი გახადეს. ამიტომ კოლექტივმაც გასული თვის დავალება 120 პროცენტით შეასრულა. მარტო პირველ ორ კვირაში 35.000 კუბმეტრი ხრეში და 5000 კუბმეტრი ქვიშა ამოიღო.

მცურავი ქარხნის მნიშვნელოვანი სიახლეა რეკონსტრუქციის შემდეგ დაყენებული მცურავი ტრანსპორტიორები. ამასთან გაკეთდა სტაკერი — დაკიდული ტრანსპორტიორი, რომლის სიგრძე 125 მეტრს აღემატება და თავისით ცლის ინერტულ მასალას.

საიუბილეო წლისათვის მეტი ინერტული მასალის მოპოვება აქვს გაანზრახული დრაგის ეკიპაჟს. იგი მეტ ინერტულ მასალას მიაწვდის უნიკალური კაშხალის მშენებლებს და ამით დიდ საჩუქარს მოუმზადებს ოქტომბრის დიად დღესასწაულს. ზ. ფიფია.

DIDI ოქტომბრის 50 წლისთავის აღსანიშნავად ბათუმის ნავსადგურის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა ვადამდე შეასრულოს საიუბილეო წლის დავალება. ყოველწლიურად სულ უფრო იზრდება ნავსადგურის ტვირთბრუნვა. 1970 წლის ბოლოსათვის სატრანსპორტო ოპერაციებით მიღებული წმინდა მოგება 16 მილიონ მანეთს შეადგენს. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ნავსადგურის სატვირთო უბანს: მარჯვნივ — ნავსადგურის მცირე მექანიზაციის გამწყობი, კომკავშირელი ლუბოვ გოგოლი. იგი ამას წინათ შრომითი წარმატებებისათვის დაჯილდოვეს ნავსადგურის საპატიო სიგელით.

ფოტო ნ. ანასტასიევისა. (საქდესის ფოტოქრონიკა).

საკავშირო დროშა გურჯაანელებს

გუშინ გურჯაანში გაიმართა რაიონის პარტიული და სამეურნეო აქტივის კრება სოფლის მშრომელებთან ერთად. მიძღვნილი გურჯაანის რაიონისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის გადაცემისადმი. კრება გახსნა გურჯაანის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ რ. ნასარიძემ.

სიტყვას ამბობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. დ. ჯაბახიშვილი. მან რაიონის მშრომელებს მიულოცა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა დ საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშით დაჯილდოება. ამხ. ბ. დ. ჯაბახიშვილმა საკავშირო დროშა გადასცა პარტიის გურჯაანის რაიკომის პირველ მდივანს ბ. აზაურაშვილს. დროშის გადაცემის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ბ. აზაურაშვილმა. მან მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას გურჯაანის რაიონის მშრომელთა ასე დიდად დაფასებისათვის.

სიტყვებით გამოვიდნენ ჩუმლაყის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვ. უჩიაშვილი, საქართველოს ალკა გურჯაანის რაიკომის მეორე მდივანი მ. მამათელაშვილი, ვაზისუბნის კოლმეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელი ა. კოშაძე, ველისციხის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი, ბრიგადირი ა. ზოშვილიშვილი, ნანიანის კოლმეურნეობის წევრი რ. გოგინავშვილი, გურჯაანის სალოკომოტივო დეპოს მეშინჯინე ვ. ხრუსტალი.

კრების მონაწილეებმა მიიღეს მომართვა რაიონის ყველა მშრომელისადმი, რომელშიც მოუწოდებენ, რომ უფრო ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის. (საქდესი).

ალაზანზრდა მეცხოველეთა რესპუბლიკური შეკრება

გარდაბანი, 8 აპრილი. კულტურის სახლში შეიკრიბნენ ახალგაზრდა მწველავები, მწყემსები, ფერმების მუშაკები, ზოოტექნიკოსები, ვეტერინარი ექიმები, რათა განეხილათ პირუტყვის პროდუქტიულობის შემდგომი გადიდებისა და სულადობის ზრდის საკითხები. შეკრებაზე ჩამოვიდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი შ. ი. ბანუშვაძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი მ. ბ. ღვინჯილია, ხელმძღვანელი პარტიული, კომკავშირული, სამეურნეო მუშაკები.

მოხსენება გააკეთა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ო. ე. ჩერქეზიამ.

მოხსენების განხილვაში მონაწილეობდნენ პარტიის გარდაბნის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ნადაშვილი, წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადის ბრიგადირი ე. თორლაშვილი, ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეცხვარეობის ბრიგადის ბრიგადირი ბ. ბეჟურაძე, საგარეჯოს მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირი ბ. გოგიჩაშვილი, კომკავშირის ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი ა. შიკაჩაციანი, დიღმის საბჭოთა მეურნეობის მუშა დ. კოტორაშვილი, ახალციხის რაიონის სოფელ ბოგის კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსი ბ. მჟედლიძე, სამგორის ჯიშთსანაშენო მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ვ. კორძაძე, ერედვის საბჭოთა მეურნეობის მწველავი ნ. ბახტანგიშვილი, ბოგდანოვკის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მწველავი თ. სლასტხინი, კინორეფისორი ე. შენგელაია, კომკავშირის დუშეთის რაიკომის პირველი მდივანი ბ. ლოსეურაშვილი, ბათუმის რაიონის სოფელ ანგისის კოლმეურნეობის მწველავი ნ. ზოთაძე, საქართველოს ზოოტექნიკურ-ვეტერინარული სასწავლო-საველე ინსტიტუტის პროორექტორი პ. ბოლქვაძე, გაგრის მეფრინველეობის ფაბრიკის ბრიგადირი ტ. კოროგოვა.

შეკრებაზე სიტყვა წარმოთქვა ამხ. შ. ი. ბანუშვაძემ.

შეკრების მონაწილეებმა იკისრეს საიუბილეო 1967 წლის სოციალისტური ვალდებულებანი. (საქდესი).

„მოსკოვის ვარსკვლავთა“ სტუმრები

უჩვეულოდ ბევრი სტუმარი იქნება ხელოვნების IV საბაფხულო ფესტივალზე „მოსკოვის ვარსკვლავები“, რომელიც დედაქალაქში გაიმართება 5-13 მაისს. ეს საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებს განუცხადეს სსრ კავშირის კულტურის მინისტრმა ე. ა. ფურცევამ და „ინტურისტის“ გამგეობის თავმჯდომარემ ვ. კ. ბოიჩენკომ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც 7 აპრილს გაიმართა.

კაშხალი უდაგნოში

სამხრეთ ბალხაშისპირეთის უდაბნოში აღიმართა ყაჩაღიას ჰიდროტექნიკური კომპლექსი. მშენებლები შეუდგნენ კაშხალში გრუნტის მასობრივ გადაყრას. კაშხლის საპროექტო მოცულობა დაახლოებით ერთ მილიონ კუბურ მეტრს უდრის. (საკდესის კორ.).

დღესასწაულამდე ერთი თვე დარჩა. უკვე მიღებულია მსოფლიოს 27 ქვეყნის 15 ათასი ტურისტის განაცხადები. ეს სამჯერ მეტია, ვიდრე 1964 წელს პირველ ფესტივალზე იყო.

გაფართოვდება აგრეთვე „მოსკოვის ვარსკვლავთა“ დღესასწაულის შემოქმედებითი ფარგლები. მოსკოველებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი ქვეყნის თითქმის ყველა მოკავშირე რესპუბლიკის წარმომადგენლები. საბჭოთა ხელოსნებს საიუბილეო წელს მსახიობები მაყურებლებს უჩვენებენ საუკეთესო შემოქმედებითს მიღწევებს ხელოვნების ყველა ჟანრში.

ტრადიციულად ფესტივალის დასკვნითი კონცერტი გაიმართება კრემლის ყრილობათა სასახლეში. (საკდესის კორ.).

მოსკოვი

მეტი კვების პროდუქტი

43 სპეციალიზებული საბჭოთა მეურნეობა შემორტყმია გარს საქართველოს ქალაქებსა და კურორტებს. ეს მსხვილი მეურნეობებია, რომლებიც გაერთიანებული არიან რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში. ამ მეურნეობათა დანიშნულებაა შეუფერხებლად მოამარაგონ ქალაქის მოსახლეობა და ჯანმრთელობის კურორტები ბუნებრივ პროდუქტებით.

ტრესტის შექმნიდან სამი წელი გავიდა. ამ დროის განმავლობაში საბჭოთა მეურნეობებმა ერთიანობა და მტკიცე გაადიდეს ბოსტნეულის წარმოება, ერთნაირადვარჯერ — რძისა. შარშან მათ დაამზადეს 40.808 ტონა სხვადასხვა ბოსტნეული, 26.366 ტონა რძე, ბევრი ხილი, ყურძენი, ხორცი. მაგრამ ეს როდი კმარა. მთელი წლის განმავლობაში ახალი და იაფი ბოსტნეულით ქალაქის მოსახლეობის უზრუნველყოფის პრობლემა ჯერჯერობით ვერ გადაწყდა.

გაკვირკეცოთ—გაკასამკეცოთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების მთლიანი წარმოება, შევამციროთ მათი თვითღირებულება — ასეთია საბჭოთა მეურნეობების წინაშე დასახული ამოცანა. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა მებოსტნეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტის მეურნეობათა დირექტორებისა და მთავარი სპეციალისტების რესპუბლიკური თათბირი.

თათბირზე მოხსენება გააკეთა ტრესტის მმართველმა დ. შარაშიძემ.

პარტიის XXIII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა ხელმძღვანელი კადრები შეუქმნეს სოფლის მშრომელთა ნაყოფიერ მუშაობას, წარმოების დაჩქარებულ ზრდას. ამ საქმეში დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სახელმწიფოს გეგმა-შეკვეთებმა, შეფასაკიდი ფასების მომატებამ, კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებამ, მშრომელთა ეკონომიურმა დაინტერესებამ.

საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს კიდევ ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. ხუთწლედის დამლევისათვის მათ სახელმწიფოს უნდა მიჰყიდონ 80 ათას ტონამდე ბოსტნეული, გადიდონ რძის, სხვა პროდუქტების წარმოება. ამას უნდა მივაღწიოთ უმთავრესად მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მეურნეობის უნარიანი გაძღოლის გზით.

მომხსენებელმა და წნორის, გარდაბნის, ნორიოს, კუმისის საბჭოთა მეურნეობების დირექტორებმა ზ. გოძიაშვილმა, მ. გაკანდზვა, მ. ბრეგვაძემ, რ. ჯაველიძემ, კიროვის სახელობის საბჭოთა მეურნეობის მთავარმა ზოოტექნიკოსმა ბ. ტაბატაძემ და სხვებმა აღნიშნეს, რომ რაციონალურად უნდა გამოიყენონ ბოსტნეულის, ბალახებისა და სხვა კულტურების მოვლა-მოყვანისათვის გამოსაღები მიწები, რომ საჭიროა მემანდარეობისა და მეცხოველეობის პროცესების მექანიზაცია ორატორებმა მოიყვანეს ბოსტნეულის მოვლის, ცხოველების მოვლისა და კვების პროგრესული მეთოდების დანერგვის ეფექტიანობის მაგალითები, ხაზგასმით აღნიშნეს, რომ პროგრესული მეთოდები ფართოდ უნდა გამოიყენონ ყველა მეურნეობაში.

თათბირზე აღინიშნა, რომ საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებმა მტკიცედ გადაწყვიტეს აღმოფხვრან არსებული ნაკლოვანებანი, მოიწიონ უხვი მოსავალი და სამმობლოს მისცენ რაც შეიძლება მეტი მემინდვრეობისა და მეცხოველეობის პროდუქცია. მომდინარე წელი წარმატებით დაიწყო — გადაჭარბებით შესრულდა რძის, ბოსტნეულის დამზადების კვარტალური გეგმა, კარგად მომდინარეობს საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები.

თათბირის მონაწილეებმა სამართლიანად გააკრიტიკეს „საქმთავარკონსერვხილბოსტანსა“ და „თბილისხილბოსტანვაჭრობის“ ხელმძღვანელობა უპასუხისმგებლობისათვის, რის შედეგად შეფერხდა ბოსტნეულისა და კარტოფილის ვაჭრობა.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა მ. ღვინჯილიამ.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობდა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ზ. გელდიანშვილი.

(საქდესი).

ᲐᲭᲐᲠᲘᲡ ᲐᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲡᲔᲡᲘᲐ

ბათუმი, 8 აპრილი. (საქდესი). აქ გაიმართა აჭარის ასსრ მეშვიდე მოწვევის უმაღლესი საბჭოს პირველი სესია.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ სესიამ აირჩია დეპუტატი **დ. დ. დიასამიძე.**

სესიამ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს მუდმივი კომისიები და დაამტკიცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი, რომლებიც მიღებული იყო სესიებს შორის განვლილ პერიოდში.

შემდეგ უმაღლესმა საბჭომ აირჩია აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარედ აირჩიეს დეპუტატი **რ. მ. კომახიძე,** მდივნად — **ნ. დ. ხახუტაიშვილი.**

სესიამ შექმნა ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭო. აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ დანიშნულია **ლ. მ. დავითაძე.**

შემდეგ უმაღლესი საბჭომ მოისმინა აჭარის ასსრ განათლების მინისტრის, დეპუტატ **ვ. მ. წულუკიძის** მოხსენება „აჭარის ავტონომიურ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში საყოველთაო სავალდებულო სწავლის განათლებაზე“. დასასრულს საკითხზე სესიამ მიიღო დადგენილება.

ᲡᲐᲘᲒᲝᲜᲔᲚᲘ ᲛᲐᲠᲘᲝᲜᲔᲢᲔᲑᲘ ᲘᲛᲣᲥᲠᲔᲑᲘᲐᲜ

ჰანოი, 8 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ე. კობელევი გვატყობინებს:

საიგონის რეჟიმის კონტროლი სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთის პროვინციებისადმი ბეწვზე ჰკიდია, ადიარა დღეს საიგონის რადიომ. „პრემიერი“ ნგუენ კაო კი მარიოწეტთა არმიის სარდლისა და სხვა პირების თანხლებით გაფრინდა ქალაქ კუანგჩიში, რომელზეც წარმატებით მიიტანეს იერიში განთავისუფლების არმიის ჯარებმა.

ამავე დროს კუანგჩის რაიონში გრძელდება გაფთრებული ბრძოლები, განთავისუფლების არმიის რამდენიმე ბატალიონის წინააღმდეგ, რომლებმაც იერიში მიიტანეს ქალაქზე, გაგზავნეს ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარები. ამას გარდა, ამერიკის სარდლობამ ორი დიდი სადამსჯელო ოპერაცია მოაწყო გუესა და დანანგის რაიონში, რომელთა დროს, როგორც გუედან იუწყებიან, ამერიკის საზღვაო ქვეითი ჯარის რაზმები დიდად დაზიანდნენ.

სამხრეთ ვიეტნამის „პრეზიდენტმა“ ნგუენ ვან თხიეუმ, რომელიც ჯერ-ჯერობით საიგონში დარჩა როგორც სახელმწიფო „მეთაური“, გუშინ დაემუქრა ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას. მან თქვა, რომ უახლოეს ხანში ან დაბომბავენ ჰანოის, ან ამერიკა-საიგონის არმიის სახმელეთო ჯარები შეიჭრებიან ვიეტნამის ტერიტორიაზე.

დასავლეთის საგენტოთა ცნობებით, სამხრეთ ვიეტნამის ჩრდილოეთ რაიონებში შექმნილი კრიზისული მდგომარეობის გამო, ამერიკის შეერთებული შტატების საიგონის საელჩოს მუდმივი სატელეფონო კავშირი აქვს ვაშინგტონთან.

ᲠᲐᲡᲘᲡᲢᲗᲐ ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). ფორსტერის პოლიციამ დაატაკმარა ვინი მანდელა, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის აფრიკელი მოსახლეობის თავისუფლებისათვის გამოჩენილი მებრძოლის ნელსონ მანდელას მეუღლე. 1964 წელს სამხრეთაფრიკელმა რასისტებმა სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს ნელსონ მანდელას.

როგორც იოჰანესბურგიდან გვატყობინებენ, ვინი მანდელა დაატაკმარეს გუშინ, საკუთარ სახლში აფრიკელთა დაბა სოვეტომში (იოჰანესბურგის მახლობლად).

ნ. მანდელას მეუღლე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში ცნობილია, როგორც თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე. მმიმე განსაცდელმა, რომელიც თავს დაატყდა მანდელას ოჯახს, ვერ გასტეხა ხუთი შვილის დედა, ვ. მანდელა განაგრძობდა ბრძოლას ჩაგრულთა უფლებებისათვის, რასობრივი ტერორის წინააღმდეგ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში. იგი აქტიურად ეწეოდა საგანმანათლებლო მოღვაწეობას და მთელ თავისუფალ დროს ახმარდა ღარიბ აფრიკელთა ბავშვებს, რომლებიც იოჰანესბურგის ჯურღმულებში ცხოვრობენ.



ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲡ დემოკრატიული რესპუბლიკა. სახალხო არმიის შესანგრეები აწყობენ გადასასვლელს.

ფოტო ვია-საკდესისა.

ᲡᲐᲨᲘᲨᲘ ᲜᲐᲒᲘᲯᲘ

ვაშინგტონი, 8 აპრილი. (საკდესი). გუშინ აქ დამთავრდა ნატოს „ატომური დაგეგმვის ჯგუფის“ ორი დღის სესია, რომელშიც მონაწილეობდნენ კანადის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ჰოლანდიის, თურქეთის, დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრები. სესია მიმდინარეობდა ნატოს გენერალური მდივნის ბროზიოს თავმჯდომარეობით.

როგორც აღნიშნულია, კომუნიკეში, 7 ქვეყნის მინისტრები, კერძოდ, იხილავდნენ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მაკნამარას მოხსენებას ნატოს სტრატეგიული ატომური ძალების შესახებ და სხვა სამხედრო საკითხებს.

ᲑᲠᲫᲝᲚᲔᲑᲘ ᲑᲠᲫᲔᲚᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 8 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამის ქალაქ კუანგჩის რაიონში გაგაფთრებული ბრძოლები მიმდინარეობს პატრიოტებსა და ამერიკისა და საიგონის ჯარებს შორის. უკანასკნელი ორი დღის განმ. ლობაში განთავისუფლების არმიის რაზმებმა რამდენჯერმე მიიტანეს გაბედული იერიში დამსჯელთა პოზიციებზე. რის შედეგად მას მნიშვნელოვანი ზარალი მოუგიდა ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

დიადი განთიადი

„ჩვენ ახალ სამყაროს ავაშენებთ“,
ავტორი — საბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარი ᲛᲐ. ᲑᲝᲭᲘ.

ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲓᲐᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

ᲐᲣᲙᲐᲣᲜᲗᲐ ᲛᲐᲜᲫᲘᲚᲖᲔ კაცობრიობის დიდი მოაზროვნენი ოცნებობდნენ ისეთ საზოგადოებაზე, სადაც არ იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ჩაგვრა, გაჭირვება და სიღატაკე, სადაც არ იქნებოდნენ არც მდიდრები, არც დარიბები, არც მჩაგვრელები და არც ჩაგრულები.

მრავალი ზღაპარი და ლეგენდა შეიქმნა ძველ სამყაროში ბედნიერების ქვეყანაზე, რომლისაკენ მიმავალი გზა არავინ არ იცოდა და სადაც მხოლოდ სასწაულით შეიძლებოდა მოხვედრა. გამოჩენილი ადამიანები თავისებურად ადგენდნენ იდეალური საზოგადოების აშენების გეგმებს, თავისებურად ხატავდნენ და ასაბუთებდნენ კომუნისტური საზოგადოების შესაძლო საწყისებს.

ᲫᲕᲔᲚᲘ დროის მოაზროვნეებს ვერ წარმოედგინათ, რომ მონობა მოსპობოდა და მის ნაცვლად სხვა საზოგადოებრივი წყობილება დამყარდებოდა. ძველი საბერძნეთის სახელგანთქმული ფილოსოფოსის — პლატონის შეხედულებანი საზოგადოების უკეთ მოწყობის შესახებ სავსებით თავსდებოდა მონათმფლობელობის საზღვრებში. ვერც სხვა ფილოსოფოსები და მწერლები სჯერდნენ მომავალს მონათმფლობელობის მიღმა. ოცნება უკეთეს ცხოვრებაზე კი გრძელდებოდა.

სოციალისტური აზრის ცისკარი ამობრწყინდა სადღაც ოკეანეზე მდებარე კუნძულ „უტოპიაზე“, რომლის შესახებაც 1516 წელს მოგვითხრო უტოპიური სოციალიზმის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა, ინგლისელმა ჰუმანისტმა თომას მორმა (1478-1535 წწ) თავის სახელგანთქმულ ნაწარმოებში „ოქროს წიგნი ანუ უტოპია“. „უტოპია“, რომლის სახელითაც ბედნიერთა კუნძული მონათლა, ბერძნულად ნიშნავს „ადგილს, რომელიც არსად არ არის“ (ამ დროიდან „უტოპიას“ უწოდებდნენ ისეთი იდეალური საზოგადოებრივი წყობილების ყოველგვარ აღწერას, რომლის განხორციელებაც შეუძლებელია).

კუნძულ უტოპიაზე, როგორც აღწერს მორი, არ არის კერძო საკუთრება და ფული, წარმოება კოლექტიურია, ყველა ცხოვრობს თავისი შრომით. ქალაქი დაკავშირებულია სოფლის მეურნეობასთან, რომ არ იყოს განსხვავება სოფლისა და ქალაქის მოსახლეობის პირობებს შორის, უტოპიელები პერიოდულად იცვლიან ადგილს: ქალაქის მუშაკები სოფლად მიდიან სამუშაოდ და სოფლისა — ქალაქად. ყველაფერს, რასაც აწარმოებენ კუნძულის მცხოვრებნი, ყოველგვარი ფულადი ანაზღაურების მიუღებლად აბარებენ საზოგადოებრივ საწყობებს და აქედან უფასოდ იღებენ რაც მათ სჭირდებათ. ფიზიკური შრომისაგან განთავისუფლებული არიან ის პირები, რომლებიც სამეცნიერო სამუშაოს ეწევიან ან დროებით მმართველობის ორგანოში არიან არჩეული.

სხვა უტოპისტების მსგავსად, თომას მორსაც მიაჩნდა, რომ გადასვლა ახალ წყობილებაზე განხორციელდებოდა არა რევოლუციური, არამედ მშვიდობიანი გზით.

ბედნიერი „მზის სახელმწიფოს“ ბრწყინვალე კონტურებს ხედავდა საპორობილის ფანჯრიდან წამებით ტანჯული დიდი იტალიელი მოაზროვნე ტომაზო კამპანელა (1568-1639 წ.წ.). თავის სამშობლოში — იტალიის სამხრეთით, ახალგაზრდა ბერი კამპანელა შეეცადა აეჯანყებინა ხალხი ესპანელ მჩაგვრელთა წინააღმდეგ. შეთქმულების ჩავარდნის შემდეგ იგი ციხეში ჩააგდეს და 27 წლის განმავლობაში ჰყავდათ გამომწყვდეული საპყრობილეში. მკაცრი პირობების მიუხედავად, მან წერის ნებართვა მიიღო. საპყრობილის მესვეურებს სურდათ შეეტყოთ, რას ფიქრობდა მათი ტყვე.

და აი ის ციხეში 1602 წელს წერს თავის განთქმულ ნაწარმოებს, რომელსაც ეწოდება „მზის სახელმწიფო“, „მზის სახელმწიფოში“ უარყოფილია კერძო საკუთრება, საზოგადოების ყველა წევრი თანასწორია, ყველა შრომობს. სასოფლო-სამეურნეო შრომაში ჩაბმულია უკლებლივ ყველა. რასაც აქ თვითეული მოქალაქე აწარმოებს, აბარებს საზოგადოებრივ საწყობებს. აქედან იღებს მისთვის საჭირო პროდუქტებსა და საქონელს. ხელისუფალნი თვალყურს ადევნებენ, რომ არავინ არ მიიღოს იმაზე მეტი. რაც მათთვის უთუოდ საჭიროა.

ᲓᲠᲝ გადიოდა, ოცნება კვლავ ოცნებად რჩებოდა, ცოცხლობდა, მოუწოდებდა ადამიანებს ბრძოლისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ.

XVIII საუკუნის დასაწყისში საზოგადოების კანონზომიერი განვითარების იდეამ გაიელვა ნეაპოლელი ფილოსოფოსის ჯანბატისტა ვიკოს ნაშრომებში. ხოლო დიდმა ფრანგმა განმანათლებელმა ჟან ჟაკ რუსომ განაცხადა: ადამიანი დაბადებულია თავისუფალი, ყველგან კი ბორკილები ადევსო.

განა კაცობრიობა მუდამ გაუოფილი უნდა იყოს ღარიბებად და მდიდრებად, ჩაგრულებად და მჩაგვრელებად?

ასეთ კითხვაზე პასუხის გაცემა სცადეს XIX საუკუნის დასაწყისის დიდმა სოციალისტ-უტოპისტებმა. სამართლიანობის საწყისებზე გარდაქმნილი მსოფლიოს სურათის დახატვას შეეცადნენ ერთ-ერთი დიდი სოციალისტ-უტოპისტი სენ-სიმონი (1769-1825 წ.წ.) და მისი მოწაფეები. მათ მსოფლიოს მომავალი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც

ᲝᲪᲜᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ

მშრომელთა საერთაშორისო ასოციაცია, რომელიც შეიქმნება ზნეობრიობისა და ცოდნის პრინციპებზე. იგი გააერთიანებდა მშრომელებს და უზრუნველყოფდა საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციას მსოფლიო მასშტაბით. სენ-სიმონი არ იყო კაპიტალისტური წყობილების წინააღმდეგობათა რევოლუციური გზით გადაჭრის მომხრე.

ბურჟუაზიული სახელმწიფოებს ბრწყინვალე კრიტიკა მოგვცა სენ-სიმონის თანამემამულემ შარლ ფურიემ (1772-1837 წწ). ის ხატავს მომავალი საზოგადოების წარმტაც პერსპექტივებს და სთხოვს მდიდარ ადამიანებს დააფინანსონ მისი ორგანიზაცია, რომელიც ამ საზოგადოების აშენებისათვის იბრძოლებს.

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ სოციალისტ-უტოპისტი იყო ინგლისელი მოლვაწე რობერტ ოუენი (1771-1858 წწ), რომელიც შოტლანდიაში განაგებდა მსხვილ ძაფსახვევ საწარმოს. მან თავის ფაბრიკაში გაიუმჯობესა მუშების მდგომარეობა, შეამცირა სამუშაო დღე 10,5 საათამდე, მაშინ როდესაც სხვა ფაბრიკებში იგი 14-15 საათს შეადგენდა. მუშების მცირეწლოვანი ბავშვებისათვის აწყობდა ბაგებსა და სბავშვო ბაღებს, უფრო მოზრდილებისათვის — სკოლას.

სოციალისტური თეორიის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს დიდმა რუსმა რევოლუციონერ-დემოკრატებმა ბ. ნ. ბელინსკიმ, ა. ი. გერცენმა, ნ. გ. ჩერნიშევსკიმ, ნ. ა. დობროლიუბოვმა, რომლებიც ყველაზე ახლოს მივიდნენ მეცნიერული სოციალიზმის გაგებამდე. დასავლეთ ევროპის უტოპისტებისაგან განსხვავებით, რუს რევოლუციონერ-დემოკრატებს მიაჩნდათ, რომ ისტორიაში მთავარ როლს ასრულებენ ხალხთა მასები და რომ სოციალიზმზე გადასვლის აუცილებელი პირობაა სახალხო რევოლუცია.

XIX საუკუნის 40-იან წლებში გაისმა გერმანელი თერძის შეგირდის სოციალ-უტოპისტის ვილჰელმ ვეიტლინგის სიტყვები მუშათა კლასზე, როგორც „ახალ მესიაზე“, რომელიც „დაამსხვრევს“ ძველი საზოგადოებრივი წესწყობილების დამპალ შენობას, გადაუშვებს ცრემლების წყაროს დავიწყების ზღვაში, დედამიწას კი გადააქცევს სამოთხედ“. გერმანელი სოციალისტ-უტოპისტი თავის ფრანგ მასწავლებლებზე უფრო შორს წავიდა, მაგრამ მაინც უტოპისტად რჩებოდა.

ᲓᲠᲝ გადიოდა, ოცნება კვლავ ოცნებად რჩებოდა, ცოცხლობდა, მოუწოდებდა ადამიანებს ბრძოლისაკენ, უკეთესი მომავლისაკენ. მაგრამ ის კი, თუ როგორ უნდა განხორციელებინა ეს ოცნება, კაცობრიობამ არ იცოდა.

და მხოლოდ მარქსიზმის — მშრომელთა დიდი რევოლუციური მოძღვრების წარმოშობით პასუხი გაეცა იმ კითხვებს, რომლებიც ადამიანებს აღელვებდა უხსოვარი დროიდან. სოციალიზმი უტოპიიდან და ოცნებიდან მებრძოლი პროლეტარიატის რევოლუციურ მოძღვრებად გადააქციეს მარქსიზმის ფუძემდებლებმა — კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა. მათ კაცობრობის ისტორიაში პირველად აღმოაჩინეს საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონები, მეცნიერულად დაასაბუთეს კაპიტალიზმის დაღუპვისა და კომუნისტური საზოგადოების ისტორიული გარდუვალობა.

ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა შემდგომ განვითარა შემოქმედებითი მარქსიზმი და იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სოციალიზმის გამარჯვება, თავდაპირველად შესაძლებელია რამდენიმე ანდა თუნდაც ერთ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყანაში.

ლენინმა, კომუნისტურმა პარტიამ შეიმუშავეს სოციალიზმის მშენებლობის გეგმა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჩვენი ახალგაზრდა ქვეყანა მხოლოდ იწყებდა პირველი მსოფლიო და სამოქალაქო ომებით გაპარტახებული სახალხო მეურნეობის აღორძინებას, ვლადიმერ ილიას-ძე უდიდესი რწმენით ამტკიცებდა, რომ ჩვენ გვაქვს ყოველივე, რაც აუცილებელია სრული სოციალისტური საზოგადოების ასაშენებლად, რომ ნეპი რუსეთიდან გვეკნება სოციალისტური რუსეთი.

ცხოვრებამ, პრაქტიკამ სავსებით დაადასტურა ლენინის ეს გენიალური წინასწარგანჭვრეტა. საბჭოთა ხალხმა დაძლია ყოველგვარი სიძნელე და წინააღმდეგობა, უმოკლეს ისტორიულ ვადაში განახორციელა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და კულტურული რევოლუცია. საბჭოთა ადამიანები მსოფლიოში კომუნიზმის პირველი მშენებლები გახდნენ.

იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როცა ლეგენდარულმა „ავრორამ“ მსოფლიოს აუწყა ახალი ერის დასაწყისი, 50 წელი სრულდება. დროის რა მცირე მონაკვეთია ისტორიისთვის, მაგრამ რამდენი რამის მთქმელია ეს 50 წელი!

ახლა სოციალიზმი ოცნება აღარ არის. ოცნება სინამდვილედ იქცა.

ამ ოცნების განხორციელებისათვის ბრძოლაში ხედავდა თავისი სიცოცხლის დანიშნულებას, ცხოვრების აზრს მრავალი შესანიშნავი მოაზროვნე და უშიშარი რევოლუციონერი. თვითეული მათგანი რამდენიმეჯერ დაუპატიმრეს და საპყრობილეში ჩასვეს. ბევრი მათგანი გადასახლებასა და კატორღაში იყო. მათ გაუგონარი გაჭირვება გადაიტანეს. მაგრამ ეს მათ არ აშინებდა. რევოლუციონერთა რკინისებური ნება და სული ვერაფერმა ვერ გატეხა.

კომუნიზმის იდეებისათვის ბრძოლაში ყველა ქვეყნის კომუნისტებს აღფრთოვანებდა და აღფრთოვანებს მარქსისა და ენგელსის შესანიშნავი ცხოვრება და მოღვაწეობა.

ლენინმა მთელი თავისი სიცოცხლე ჩაგრულთა განთავისუფლებისათვის, ხალხის ბედნიერებისათვის, კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლის საქმეს მოახმარა. ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის კომუნისტები ყოველთვის და ყველაფერში ლენინისაგან სწავლობენ, ლენინს ბაძავენ.

კომუნიზმის საქმისათვის ბრძოლაში ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია იოსებ სტალინის სახელს.

ვის არ გაუგონია რევოლუციის უშიშარი რაინდის ფელიქს ძერჟინსკის სახელი? მან თავისი თავი მუშათა კლასისა და მისი პარტიის საქმეს ანაცვალა. საინტერესოა მის მიერ ციხეში დაწერილი სტრიქონები: „...აქ, ციხეში, ხშირად მიმძიმს... და, მიუხედავად ამისა, ცხოვრება თავიდან რომ დაიწყო, მას ისე დავიწყებდი, როგორც დავიწყე...“

ბევრმა იცის ბიოგრაფია ივანე ბაბუშკინისა, რომელიც მხეცურად მოკლეს მეფის ჯალათებმა 1906 წელს. ჩვენს თვალწინ დგება მამაცი მებრძოლის სახე. მან მხოლოდ ოცდაცამეტ წელიწადს იცოცხლა. აქედან ცამეტი წელიწადი ჩვენი პარტიის მშენებლობასა და განმტკიცებას მოახმარა. ვ. ი. ლენინმა მას სახალხო გმირი უწოდა.

მამაცი რევოლუციონერები იყვნენ ქიძემ და ძველი ლენინური გვარდიის მრავალმა სხვა შესანიშნავმა წარმომადგენელმა. მათი სახელი ლეგიონია.

მრავალი გამოჩენილი რევოლუციონერი მისცა საერთაშორისო კომუნისტურ და მუშათა მოძრაობას მსოფლიოს პროლეტარიატმა.

დიდია უშიშარი მებრძოლის გიორგი დიმიტროვის დამსახურება, რომელიც შვა ბულგარეთის მუშათა კლასმა. თავისი უშიშრობითა და გმირობით მან გერმანელი ფაშისტების მიერ 1933 წელს კომუნისტების ათვის მოწყობილი სასამართლო გადააქცია ფაშისტ კაცისმკვლელთა გასამართლებად. იგი ბრალდებულიდან მრისახანე ბრალმდებლად იქცა.

რა წამება და ტანჯვა გადიტანეს ფაშისტურ საპყრობილეში იტალიის კომუნისტური პარტიის ბელადმა ანტონიო გრამშიმ და გერმანიის კომუნისტური პარტიის ბელადმა ერნსტ ტელმანმა, მაგრამ ვერაფერმა ვერ გადატეხა მათი მტკიცე ნებისყოფა, ისინი ციხეში განაგრძობდნენ ბრძოლას კომუნიზმის საქმისათვის.

კომუნიზმის იდეებს თავი შესწირა ერაყის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა იუსუფ ფახდმა. დახჭის წინ, ჯალათების ნებართვით, იგი შეხვდა თავის ძმას დაუდს, რომელიც იმავე საპყრობილეში იჯდა, და უთხრა: „გახსოვდეს, მე ვკვდები როგორც კომუნისტი, კომუნიზმი სიკვდილზე ძლიერია!“, ხოლო დედისათვის გადასაცემად დაბარა: „როცა დედას ნახავ, უთხარი, რომ იუსუფმა ბევრი შიში და ტანჯვა განგაცდევინა, მაგრამ ის ვერ ხედავდა სხვა გზას, გარდა ამისა, რომლითაც მიდიოდა, — ეს გზა იყო ეროვნული ბრძოლა იმპერიალიზმისაგან განთავისუფლებისათვის. გადაეცი მას ჩემი უკანასკნელი სალამი“. შემდეგ მტკიცე ნაბიჯით ავიდა ეშაფოტზე.

ამ დიდი საქმისათვის დაიფიფრფლნენ ავგუსტ ბებელი და პოლ ლაფარგი, გიორგი პლეხანოვი და პარიზის კომუნის წევრი, საერთაშორისო პროლეტარიატის უკადავი ჰიმნის „ინტერნაციონალის“ ავტორი ეჟენ პოტიე, როზა ლუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი, კლარა ცეტკინი, მორის ტორეზი და ვილჰელმ პიკი, ხოსე დიასი და პალმირო ტოლიატი, ჰარი პოლიტი და იუჯინ დენსი და მრავალი სხვა შესანიშნავი ადამიანი. მათი სახელი ლეგიონია.

კომუნიზმის გზით ადრე თუ გვიან წავა ყველა ხალხი. ოცნება სინამდვილედ იქცევა ყველგან. კომუნიზმი იზიმებს თავის გამარჯვებას მთელ ჩვენს პლანეტაზე.

ასეთია ისტორიის განვითარების დიალექტიკა.

ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ.

ᲠᲬᲛᲔᲜᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡᲐ

ᲜᲐᲠᲙᲕᲔᲕᲘ

ᲘᲥᲜᲔᲑ ზოგიერთს გეუცნაუროთ, მეტია რა სახელიაო, მაგრამ გასაკვირველი არაფერია, არის ასეთი ქალი, მეტია ქვია, მისი გვარია ცინცაძე, ჩოხატაურის რაიონის სოფელ ზემო ფარცხმაში ცხოვრობს. თუმცა, მის მრავალშვილიან მამას შვილის დაბადება რომ ახარეს, სიხარულით ცას ეწია, მაგრამ, რომ უთხრეს ქალიაო, გულს შემოეყარა და ჯავრისაგან აყვირდა: — ამდენ ქალიშვილს რა დაათხოვებს, აგი მეტია, ბატონო, მეტი!

ერთი კიდევ უთქვამს, მეტიაო, და დაჯავრიანებული მამა გიტო სახლიდან გავარდნილა. იფიქრეს, იფიქრეს, და ახალდაბადებულს მეტია დარქვეს.

მეტია ხუთი წლისაც არ იქნებოდა, ოჯახს ყვავილი რომ მოედო. ამ მძიმე სენმა მშობლები იმსხვერპლა. ობლად დარჩენილი მეტიას აღზრდა მუნჯმა ბიძამ იკისრა. ბოლოს, ამ ბიძასაც ძალიან რომ გაუჭირდა, აიღო და შვიდი წლის ძმისშვილი მოსამსახურედ დაუყენა აზნაურ კაცია ღელტს. მერე თერძთან გადაიყვანა შეგირდად. თოთხმეტი წლისამ უკვე დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო, მაგრამ მაინც არაფერი გამოდიოდა. ზამთარში დღედაღამ კერავდა, ზაფხულში კიდევ სეზონურ სამუშაოზე გადიოდა, აბრეშუმის ჭიას უვლიდა. ამ საქმეზე სხვა ქალებიც მუშაობდნენ, ოცდაათამდე იქნებოდნენ, ჯაფა დიდი ჰქონდათ, ანაზღაურება კი ნაკლები.

— კი, მარა ეს ჩვენი „ხაზინი“ დღეში ოცდახუთ კაპიკს რომ გვაძლევს, რას ფიქრობს მაინც, ჰა? — თქვა ერთმა ნანდილოსანმა.

— ოცდახუთი კაპიკი და ჭამაც თქვენი იყოსო, ეს ნამიტანია, თვითონ დღეში ათასებში რჩებათ. ჩვენ კი...

— რა ჩვენ კი?.. ვერ უყურებ, რომ ჭამას უნდა გადაგვაჭვინონ, — თქვა კაკისამ და თვალები მოუწყლიანდა. ქალებს ოხვრა აღმოხდათ. აქამდის მეტიას ეგონა, თითქოა მარტო ის იყო მშიერ-მწყურვალი, ახლა ნათლად ხვდებოდა, რომ ეს გაჭირვება ყველა მშრომელი ადამიანის ხვედრი იყო, გვერდში მყოფთა წუხილი მისი წუხილიც იყო.

ამ ამბავმა ძალიან ჩაადიქრა მეტია. მის დაღონებულ სახეს რომ შეხედა ივლიტამ, თავზე ხელი გადუკრა, შვილივით ჩაიკრა მკერდში, მიეფერა:

— ნუ გეშინია, ჩვენთვისაც გათენდება. გურია იღვიძებს, მალე მუქთახორებს საკადრის პასუხს გავცემთ.

ივლიტამ ეს რომ თქვა, მიიხედ-მოიხედა, საქმე მიატოვა, ერთ კუთხეში მოუყარა ქალებს თავი, პირზე ხელი მიიდო, საიდუმლოდ გეუბნებითო, და დაბალი ხმით დაიწყო:

— ქალებო, ფრთხილად იყავით, დღეს მეურმეები გაფიცვას აწყობენ, როგორც კი უარს იტყვიან სამუშაოზე, ჩვენც მაშინვე უნდა მივატოვოთ საქმე.

სიტყვა გაფიცვა მეტიას პირველად ესმოდა, არ იცოდა რას ნიშნავდა იგი, მაგრამ მაინც არაფერი თქვა. ივლიტას ენდობოდა და მისგან მოწიწებით ნათქვამი სიტყვაც საიმედოდ მიაჩნდა.

ივლიტამ კიდევ გაიმეორა, არსად ხმა-კრინტიო, და ფიქრში წასულ მეტიას მიუტრიალდა: — გოგო, არაფერი დაგცდეს, ახალბედა ხარ, არ მოგაბეზრონ, იცოდე, ჩვენი სიხარული შენი სიხარულიც არია.

ეს უკანასკნელი სიტყვები ივლიტამ ისე გასაგებად თქვა, რომ მეტია მიხვდა რას ნიშნავდა გაფიცვა, ან კიდევ რატომ უნდა გაფიცულიყვნენ მეურმეები.

შუადღისას დაიწყო ურმების დატვირთვა აბრეშუმის ყაჭით. ეს რომ მოთავდა, მეურმეთა შორის ჩოჩქოლი ატყდა, უცებ ულლის ტაბიკებს ეცნენ, ხარები გამოუშვეს და ყველამ ერთად განაცხადა:

— გვეყო მოთმენა! ამდენი ტვირთი უნდა გადავზიდოთ და რას იძლევით? არაფერს. პურის ფულად არა გვყოფნის...

ამ სიტყვების შემდეგ ელეხებმა მიატოვეს ურმები და წასვლა დააპირეს. გაწყრნენ აბრეშუმით მოგატრნენი, რით აღარ დაეშუქრნენ მეურმეებს, მაგრამ ამაოდ. მუქარით რომ არა გამოვიდა რა, მაშინ, ქალებს მიმართეს, თქვენ ნაიყვანეთ ურმებიო. არც ამაოზე გასჭრა თხოვნამ. ბოლოს დაუყვავეს, გადმოტვირთეთ მაინცო, მაგრამ ვინ ახლო ხელი! ქალებმაც ერთი შეესახეს: „ძირს მუქთახორები“ და გაფიცულთ მუშურთდნენ. მეურმეებს წელან რომ ეშინოდათ, ვაი თუ ქალებმა მხარი არ დაგვიჭირონ და გაფიცვა ჩაგვეშალოსო, ახლა გული მიეცათ, ერთმა უბიდან წითელი ალმა ამოიღო, მარსელიოზა წამოიწყო.

...1905 წლის შემოდგომაა. გურიის პარტიულმა კომიტეტმა დადგენილება გამოიტანა მთელ გურიაში დემონსტრაციის მოწყობის შესახებ. საიდუმლოება მეტიას გაანდეს და უთხრეს: აბა შენ იცი, ღღესვე უნდა შეატყობინო პარტიის წევრებს. ზეგ ვიკრიბებით წიფნარში, მიტინგი ეწყობა, მერე კი



ᲓᲘᲐᲓᲘᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲒᲖᲐ. ᲓᲘᲐᲓᲘᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲛᲘᲠᲝᲑᲐ, ᲘᲒᲘ ᲛᲐᲠᲐᲓᲘᲣᲚᲘ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲒᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ.

(„ᲓᲘᲓᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ 50 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ“ ᲡᲙᲙ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲓᲒᲔᲜᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ).

ᲐᲡᲔ ᲘᲧᲝ 44 ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ

ᲨᲔᲤᲝᲑᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲖᲔ

ᲗᲔᲚᲐᲕᲘᲡ მიწა-ტყის სარაიონო კავშირმა აიღო შეფობა სოფელ შალაურზე; ეს პატარა სოფელი სულ 2-3 ვერსის მანძილზეა თელავიდან, მაგრამ მიუხედავად ამისა, ძალიან ღარიბი და ჩამორჩენილია.

15 დეკემბერს სოფლის სკოლის შენობაში მოწვეული იყო კრება, სადაც ელენიანი კავშირის დახმარება გაეწია სოფლისათვის. გამოირკვა, რომ ბოლოს ამ ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

შენიშვნა პროვოკაციებზე

ფხენიანი, 7 აპრილი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დღეს გამოაქვეყნა განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 5 აპრილს ამერიკის მხარე თავს დაესხა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სამოქალაქო ადმინისტრაციის პატრულებს, რომლებიც ჩვეულებრივ სამსახურს ეწეოდნენ დემილიტარიზებული ზონის რაიონში.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის მხარემ ტყვიამფრქვევისა და ავტომატის ცეცხლი დაუშინა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მხარის პატრულებს, რის შედეგად დაიხოცა ხუთი და დაიჭრა ერთი პატრული.

განცხადებაში ნათქვამია, რომ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა გადაჭრით გმობს ამერიკელ იმპერიალისტთა ამ დანაშაულებრივ აქტს, რომლებიც აშკარად უთხრიან ძირს მშვიდობას კორეაში.

ამერიკელმა იმპერიალისტებმა, ნათქვამია განცხადების დასასრულს, დაუფიქრებლად უნდა მოუღონ ბოლო სამხედრო ხრიკებს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ, გაეცალონ სამხრეთ კორეას თავიანთი იგრესიული ჯარებით.

უ ტანი კოლომბოში გაფრინდა

რომი, 8 აპრილი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი უ ტანი გუშინ რომიდან თვითმფრინავით კოლომბოს (ცეილონი) გაფრინდა.

რომში ხანმოკლე ყოფნის დროს უ ტანი შეხვდა იტალიის პრეზიდენტს ჯუზეპე სარაგატსა და საგარეო საქმეთა მინისტრს ამინტორე ფანფანის, უ ტანი ვატიკანში მიიღო პაპმა პიელე VI-მ.

როგორც ფიქრობენ, ამ საუბრების მთავარი თემა იყო ვიეტნამის პრობლემა. ცეილონში ვიზიტით იწყება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ორი კვირის მოგზაურობა. იგი ეწვევა აგრეთვე ინდოეთს, ნეპალს, ავღანეთსა და პაკისტანს.

ХАНГРთელობის დღე სოციალისტურ ქვეყნებში

პრაღა. ჩეხოსლოვაკიის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა მრავალათასიანმა არმიამ და ყველამ, ვინც სარგებლობს იმ ადამიანთა მომსახურებით, რომლებიც მოსახლეობის ჯანმრთელობის საგუშაგოზე დგანან, 7 აპრილს აღნიშნეს ჯანმრთელობის საერთაშორისო დღე.

სამედიცინო დაწესებულებათა შენახვისათვის, მშენებლობისა და მოწყობილობისათვის, მედიცინის მუშაკთა კადრების მომზადებისათვის, კვლევითი საქმიანობისათვის რესპუბლიკა ყოველწლიურად ხარჯავს ასობით მილიონ კრონს.

ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა იმ ქვეყნების რიცხვს ეკუთვნის, რომლებსაც ჯანმრთელობის დაცვის მაღალი დონე აქვთ. გათვალისწინებულია მედიცინის დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოება, მათი აღჭურვა უახლესი აპარატურით, სამეცნიერო-საკვლევი საქმიანობის გაფართოება. ყოველივე ამან უნდა უზრუნველყოს მოსახლეობის სამედიცინო დახმარების დონის ამაღლება.

ვარშავა. თავისი დღესასწაული აღნიშნა სახალხო პოლონეთის ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა 400 ათასიანმა არმიამ. პოლონელ მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საგუშაგოზე დგანან 50 ათასი ექიმი და 90 ათასი მედიცინის დაბმ ბოლო 10 წელიწადში ექიმთა რიცხვი პოლონეთში ერთიორად გაიზარდა.

სახალხო პოლონეთის მედიცინის დიდი მიღწევაა პოლიომიელიტის სრული ლიკვიდაცია. მკვეთრად შემცირდა ინფექციურ დაავადებათა რიცხვი. მნიშვნელოვნად გაიზარდა სიცოცხლის ხანგრძლივობა, შემცირდა ჩვილი ბავშვების სიკვდილიანობა.

დღესასწაულთან დაკავშირებით ექიმებისა და მედიცინის დების ხელ ჯუფს მიენიჭა მთავრობის ჯილდოები.

სოფია. ბულგარეთის საზოგადოებრიობამ ფართოდ აღნიშნა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა დღე და მიესალმა ათეულ ათასობით ექიმს, მედიცინის დასა და მეანს.

ДАИНУП პუნტა-დელ-ესტეს ლაშქრობა

მონტევიდეო, 8 აპრილი. (საკდესი). 500-მდე ურუგვაველმა მუშამ და სტუდენტმა დაიწყო „პუნტა-დელ-ესტეს ლაშქრობა“. ამ საკურორტო ქალაქში 12 აპრილს უნდა გაიხსნას ამერიკის ქვეყნების პრეზიდენტთა თათბირი.

„პუნტა-დელ-ესტეს ლაშქრობა“ ეწყობა პრეზიდენტთა თათბირისა და შეეკრებული შტატების იმ ნეოკოლონიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, რომელსაც ლათინური ამერიკის მიმართ ახორციელებენ.

Вეტაკებანი სირია-ისრაელის საზღვარზე

დამასკო, 7 აპრილი. საკდესის კორესპონდენტი ლ. მედვედკო გვატყობინებს:

დღეს დილით სირია-ისრაელის საზღვარზე მოხდა ახალი შეიარაღებული კონფლიქტი. სირიის სამხედრო სარდლობის ოფიციალურ კომუნიკეში, რომელიც ახლახან გამოსცეს, ნათქვამია, რომ დილის 9 საათსა და 45 წუთზე ადგილობრივი დროით ისრაელის რამდენიმე ტრაქტორი, რომლებსაც იცავდა ტანკებისა და ავტომატური იარაღის ცეცხლი, ცდილობდა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები ეწარმოებინა საზღვრის სამხრეთ სექტორის ნეიტრალურ ზონაში. სირიის ჯარებმა სპასუხო ცეცხლი დაუშინეს მათ. სროლის დროს დააზიანეს ისრაელის ორი ტანკი და გაანადგურეს სამი ტრაქტორი. სირიის ტერიტორიაზე მოწინააღმდეგის ცეცხლმა დაანგრია რამდენიმე გლეხის სახლი სასაზღვრო სოფლებში ან — ნასარიასა და იჰ-ზედინში. კომუნიკეში აღნიშნულია, რომ სროლა ახლაც გრძელდება.

14 საათზე ადგილობრივი დროით დამასკოში გამოჩნდა რამდენიმე რეაქტიული საბრძოლო თვითმფრინავი და ისმოდა საზენიტო ბომბების აფეთქების ხმა. დამასკოს რადიომ შეწყვიტა ჩვეულებრივი გადაცემები და გამოაცხადა, რომ მტრის რამდენიმე თვითმფრინავი შეიჭრა სირიის საჰაერო სივრცეში. მტრის თვითმფრინავებს ცეცხლი დაუშინა საზენიტო არტილერიამ, აგრეთვე მიმდინარეობს საჰაერო ბრძოლა. სირიის სარდლობის მომდევნო კომუნიკეში, რომელიც გადმოსცეს 14 საათსა და 20 წუთზე ადგილობრივი დროით, ნათქვამია, რომ საჰაერო ბრძოლის დროს მტრის „ფირაჟის“ ტიპის ერთი თვითმფრინავი საზენიტო არტილერიამ ჩამოაგდო სირიის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

სალონიკის ამბები

ათენი, 7 აპრილი. (საკდესი). გუშინ სალონიკში მოხდა სტუდენტთა სერიოზული შეტაკება, რომელიც ორსაათნახევარზე მეტ ხანს გრძელდებოდა. შეტაკების შედეგად დაიჭრა 40 კაცი.

მინტგეზე, რომელიც ბერძენ სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა მოაწყო სალონიკში გაიხმოდა ლოზუნგები: „ძირს კენელოპულოსის მთავრობა!“, „ძირს ფაშიზმი, მოვითხოვთ საბერძნეთის კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციას!“, „გამოდით ნატოდან!“. ამ მიტინგის საპასუხოდ მემარჯვენე პარტიის ეროვნულ რადიკალთა კავშირის მომხრეებმა „კონტრმიტინგი“ მოაწყეს მთავრობის მხარდასაჭერად.

ორივე დაჯგუფების სტუდენტებს ჩხუბი მოუვიდათ და ჯოხებითა და ქვებით დაერივნენ ერთმანეთს. პოლიციამ გამოიყენა ბრანდსპოიტები, ცრემლსადენგაზიანი გრანატები და ხელკეტები, რომ მოჩხუბარნი გაეშველებინა, შემდეგ კი მხოლოდ დემოკრატ სტუდენტთა წინააღმდეგ დაიწყო მოქმედება.

ცენტრის კავშირის ლიდერმა პაპანდრეუმ სალონიკში მომხდარ ამბებთან დაკავშირებით განაცხადა: „ეროვნულ რადიკალთა კავშირის პოლიციური სახელმწიფო კვლავ აღდგა“. პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა ბერძენ სტუდენტთა ეროვნულმა კავშირმა.

გუშინ ათენისა და პირეოს სხვადასხვა უბანში გრძელდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო სტიქიური საპროტესტო მანიფესტაციები.

კატასტროფა სეულში

ნიუ-იორკი, 8 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ კორეის სამხედრო-საჰაერო ძალების სატრანსპორტო თვითმფრინავი დღეს კატასტროფის შედეგად ჩამოვარდა სეულის მჭიდროდ დასახლებულ მუშათა უბანში. თვითმფრინავში მყოფი ორმოცზე მეტი კაცი დაიღუპა, გვატყობინებს იუნაიტედ პრეს ინტერნეშნლის საგანგებო კორესპონდენტი სეულიდან. თვითმფრინავის დაცემის ადგილს მიშინეკ გაჩნდა ხანძარი, რომელიც 30-მდე ხის ქოხს მოედო. სახანძრო მანქანები ვერ მივიდნენ ცეცხლმოკიდებულ სახლებთან, ვინაიდან ქუჩები ძალიან ვიწრო იყო. პირველი ცნობებით, დაიღუპა 100-მდე კაცი.

შავი ჭირის საფრთხე

პარიზი, 7 აპრილი. (საკდესი). „ჯერჯერობით შავი ჭირი არ გაცდენია სამხრეთ ვიეტნამის საზღვრებს. მაგრამ ყველა მეზობელმა ქვეყანამ და ტერიტორიამ უნდა განახორციელოს წინასწარი ღონისძიებანი, რათა მომზადებული დაუხვდეს მას — განაცხადეს ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სემინარიის მონაწილეებმა. სემინარი მანილაში მიმდინარეობდა.

როგორც ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი გვატყობინებს, ორი კვირის სემინარის მონაწილეებმა დაბეჭითებით უჩჩიეს დაინტერესებული ქვეყნების მთავრობებს განსაკუთრებით მკაცრი ღონისძიებანი განახორციელონ ნავსადგურებში და აეროდრომებზე.

მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ვაშინგტონი, 7 აპრილი. (საკდესი). ატომური ენერგიის კომისია იუწყება, რომ დღეს ნევადის შტატის საცდელ პოლიგონზე განხორციელდა მორიგი მიწისქვეშა ატომური აფეთქება. ეს საათვალაური მეშვიდე აფეთქებაა, რომელიც კომისიამ გამოაცხადა წელს.

ძმური სოლიდარობა

პოპენჰაგენი, 8 აპრილი. (საკდესი). 160 ათასმა დანიელმა მოაწერა ხელი მიმართვას ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი, რომელშიც მოითხოვენ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა.

საფრანგეთის ახალი მთავრობა

პარიზი, 8 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა დე გოლმა გუშინ დაამტკიცა ახალი მთავრობის შემადგენლობა. მთავრობაში, რომელსაც ჟ. პომპიდუ მეთაურობს, ძირითად მინისტრთა პოსტებზე დანიშნული არიან: საგარეო საქმეთა მინისტრად — მორის კუვე დე მიურვილი, შინაგან საქმეთა მინისტრად — კრისტიან ფუშე, შეიარაღებული ძალების მინისტრად — პიერ მესმერი, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრად — მიშელ დებრე, განათლების მინისტრად — ალენ პეირეფიტი, სოფლის მეურნეობის მინისტრად — ედგარ ფორი და სხვ.

„ინტერპრესი“ პრაღაში

ბერლინი, 7 აპრილი. (საკდესი). 1968 წელს პრაღაში გაიმართება მეხუთე ფოტოგამოფენა „ინტერპრესი“. გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულია ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ფოტოჟურნალისტთა სექციის პრეზიდიუმის სხდომაზე.

მიღებულია აგრეთვე გადაწყვეტილება მთელი რიგი საერთაშორისო გამოფენების მოწყობის შესახებ, რომლებიც ამერიკელ იმპერიალისტთა დანაშაულს ვიეტნამში. პრეზიდიუმმა მოუწოდა ეროვნულისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა ფოტოჟურნალისტ წევრს მონაწილეობა მიიღოს „ზეთი „პრავდის“ ფოტოკონკურსში, ღიმელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით იმართება.

მეხვედრა თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 8 აპრილი. (საკდესი). პრეზიდენტმა ჯონსონმა გუშინ თეთრ სახლში მიიღო თავდაცვის მინისტრები, რომლებიც მონაწილეობდნენ ნატოს „ატომური დაგეგმვის ჯგუფის“ სესიაში. ლ. ჯონსონმა მათ გახუნცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მზად არიან გაუზიარონ ნატოელ მოკავშირეებს „ატომურ დაგეგმვასთან დაკავშირებული მთელი ინფორმაცია და გაანალიზებული მასალები“.

განვითარების სწორი კურსით

ბელგრადი, 7 აპრილი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ ტიტომ, რომელიც ამასწინანდა გამოვიდა ქალაქ პეზრნი კოსოვოსა და მეტოხიის ავტონომიური მხარის პოლიტიკური აქტივის კრებაზე, განაცხადა, რომ ეროვნული და კლასობრივი წინააღმდეგობანი უფრო ელინდება და უფრო ძნელად წყდება სუსტად განვითარებულ რაიონებში. ისტორიის მანძილზე დაგროვებულ შეხედულებებთან ერთად მათ საფუძვლად უდევს მატერიალური განუვითარებლობა და ამიტომ კოსოვოსა და მეტოხიის კომუნისტებსა მოვალეობაა იბრძოლონ იმათ წინააღმდეგ, ვინც დროდადრო იყენებს ჩვენს სიძნელეებს, რათა ხელი შეუშალოს სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის ნორმალურ განვითარებას.

იყვნენ კომუნისტები, თქვა ორატორმა, რომლებსაც დაავიწყდათ, რომ ჩვენს ქვეყანაში არის კლასობრივი მტერი, ჩვენ მას ვერ ვხედავთ, რადგან გაგვიტაცა პრაქტიციზმის სულისკვეთებამ, სხვა საქმე გვქონდა და ფხიზლად არ ვიყავით. დარწმუნებული იყავით, რომ თუ ფხიზლად არ ვიქნებით, მტრ ე ბ ი ს საქმიანობა უფრო აქტიური გახდება. ამიტომ საკვირველიც არ არის, რომ ზოგიერთი კომუნისტი ექცევა ჩვენთვის უცხო შეხედულებათა გავლენის ქვეშ. მაგრამ არც აქ ვყოფილვართ ფხიზლად, რადგან ასეთი კომუნისტების წინააღმდეგ სანქციებს არ ვიყენებდით. მეტად ლიბერალური ვიყავით.

ი. ბროზ ტიტოს გამოსვლა ქალაქ პეჩზე

ყველასთვის ცხადი უნდა იყოს, თქვა მემდეგ ი. ტიტომ, რომ IV ალენკუძის ომდეგ წარსულს ჩაბარდა როგორც დოგმატიზმი, ისევე ლიბერალიზმი. ჩვენი აზრით, ლიბერალიზმი ნ.-კლეტად საშიში როდია. აკ არ არის რაიმე განსხვავება — ერთიც საშიშია და მეორეც. ჩვენ ძირითადი ლაბვარი ჩავვიცით დოგმატიზმსაც და იმ შეხედულებებსაც, რომელთა შესაბამისად კომუნისტები უნდა მბრძანებლობდნენ. ამავე დროს ჩვენ დავსახეთ ერთად ერთი სწორი კურსი — მდგომარეობის გაჯანსაღებისა და კომუნისტებთა რიგების განმტკიცების კურსი. ი. ტიტომ განაცხადა, რომ არც ერთ კომუნისტურ პარტიას არ შეუძლია ეფექტიანად იმოქმედოს, თუ მასში არსებობს სხვადასხვა შეხედულებანი მისი ქვეყნის მუშაობისა და ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებზე, და თქვა: ომის დროს ჩვენ დავამარცხეთ კლასობრივი მტერი, მაგრამ იგი არ გაგვინადგურებია. კლასობრივი მტერი ჯერ კიდევ არსებობს და სრულად იყენებს ყველა ჩვენს შეცდომას. ბუნებრივიც არ იქნებოდა, რომ არ გამოეყენებინა. თუ კლასობრივი მტერის, ესე იგი სოციალისტური განვითარების მოწინააღმდეგეთა საქმიანობა აქტიურდება, ეს ნიშნავს, რომ კომუნისტების მუშაობა ადგილებზე სუსტდება. თუ ჩვენ სწორად განვმარტავთ ყოველივეს, რაც ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ... ადამიანი ... ჩვენ და არა ლოსიობრივ მტერს, რომელსაც ... ...

ჩვენი ინტერვიუ

მეგობროების ქვეყანა — ფესტივალი

ხვალ, 10 აპრილს, თბილისში იხსნება ამიერკავკასიის რესპუბლიკებისა და უკრაინის სსრ კინოფესტივალი. ამასთან დაკავშირებით ჩვენი გაზეთის სპეციალურმა კორესპონდენტმა ვ. შარდალეიშვილმა სთხოვა საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის თავმჯდომარეს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს სერგო დოლიძეს მოეთხრო მომავალი კინოფესტივალის შესახებ.

— საკავშირო კინოკომიტეტისა და კინოკავშირის გადაწყვეტილებით, — თქვა ს. დოლიძემ, — ყოველწლიურად უნდა გაიმართოს კინოფესტივალი იმ ფილმებისა, რომლებიც მოკავშირე რესპუბლიკების სტუდიებში შეიქმნება. დათვალიერებაზე შეირჩევა ფილმები საკავშირო კინოფესტივალისათვის.

ასეთი სახის კინოფესტივალები ამავე დროს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეშიც მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, საბჭოთა კავშირი, თუ შეიძლება ითქვას, დაყოფილია ზონებად. პირველ ზონაში შედის უკრაინა და ამიერკავკასიის რესპუბლიკები, მეორეში გაერთიანებული არიან ბალტიისპირეთის რესპუბლიკების კინემატოგრაფისტები, მესამეში — შუა აზია და ა. შ. ბალტიისპირეთში კინოფესტივალი უკვე დამთავრდა, სხვა რესპუბლიკებში, ისე როგორც ჩვენთან, ახლა იწყება.

ფესტივალის მონაწილეებსა და იმ ფილმებს, რომლებსაც ჩვენი მომმე რესპუბლიკების კინომოღვაწენი წარმოადგენენ ფესტივალზე, დაეთმობა დედაქალაქის ერთ-ერთი საუკეთესო კინოთეატრი „რუსთაველი“. თბილისელი მაყურებელი ფესტივალის დღეებში გაეცნობა უკრაინელი კინემატოგრაფისტების ნაწარმოებებს „ორი წელი უფსკრულის პირას“ და „მათ მხოლოდ სახით იცნობდნენ“, აზერბაიჯანულ ფილმებს „ცხოვრება კარგი რამ არის, ძმაო!“ და „შავტუხა“, სომხი კინემატოგრაფისტების ნამუშევრებს — „ჯამბარჯობა, ეს მე ვარ“ და „საგანგებო დავალება“.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ ორ სურათს წარმოადგენს ფესტივალზე. ერთია „შეხვედრა ყარსულთან“ და მეორე ახალგაზრდა კინორეჟისორის გ. შენგელაიას „მაცი ხმიტია“. ზემოთ ჩამოთვლილი ფილმების ნაწილი, რომლებმაც მეტ-ნაკლებად უკვე მოიპოვეს აღიარება. და მოწონება, კარგად არის ცნობილი ჩვენი რესპუბლიკის კინომაყურებლებისათვის, ზოგსაც ფესტივალის დღეებში ვნახავთ და პირველად განვსჯით. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა მხატვრული კინოსურათებისა, გავეცნობით დოკუმენტური ნამუშევრებს, ნახატ და სატელევიზიო ფილმებს. კონკურსგარეშე იქნება ნაჩვენები ორი უკრაინული კინოსურათი „სასოების ნაპირი“ და „ცა ყველგან არის“.

ოთხივე რესპუბლიკის კინემატოგრაფისტთა კავშირების პრეზიდიუმების გადაწყვეტილებით დაწესებულია ფესტივალის მთავარი პრიზი „პრომეთეოსი“, ხოლო სპეციალურად დოკუმენტური ფილმებისათვის პრიზი „მცირე პრომეთეოსი“. გარდა ამ ორი მთავარი პრიზისა ფესტივალზე წარდგენილ კინოსურათებს ეღირებათ საკავშირო კინემატოგრაფისტთა კავშირის, საქართველოს კინოგადირავების კანტორის, რესპუბლიკის მხატვართა კავშირის, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისისა“ და სხვათა მიერ დაწესებული სპეციალური პრიზები.

ჩვენს დედაქალაქს ფესტივალის დღეებში ეწვევიან სტუმრები სამი რესპუბლიკიდან — თითქმის 50 კაცი. გვიწვევიან ცნობილი კინორეჟისორები ი. ტალანკინი და ტ. ლევჩუკი, ოპერატორი ა. ბოლოვნია და სხვები. ფესტივალი 15 აპრილამდე გაგრძელდება და მიეძღვნება დიდი ოქტომბრის იუბილეს, რომელსაც მალე იზეიმებს მთელი საბჭოთა ქვეყანა.

ასეთი სახის კინოფესტივალებს, რომლებიც ყოველ წელს უნდა გაიმართოს უდიდესი მნიშვნელობა აქვს შემოქმედებითი კონტაქტების გაღმბკიცებისათვის. ეს შეხვედრები ხელს შეუწყობს და გააღრმავებს იმ დიდ ლაგულლიკა მეგობრობას, რომელიც ჩვენ გვაკავშირებს ერთმანეთთან. გვიქნება საუბრები და კამათი, აზრთა გაზიარება კინოხელოვნების სხვადასხვა მტკივნეულ საკითხზე, ყველაფერი ეს მიბმარდება ერთ უდიდეს და საჭირო საქმეს — საბჭოთა კინოხელოვნების შემდგომ აღმავლობას და განვითარებას.

• • •

სურათებზე: კადრები ფესტივალის ფილმებიდან. მარცხნიდან — „ორი წელი უფსკრულის პირას“ (უკრაინა), „საგანგებო დავალება“ (სომხეთი), „მაცი ხვიტია“ (საქართველო), „შავტუხა“ (აზერბაიჯანი).

ვ. მამულაშვილი



გარდა ... ვალა ... წელი 1917 ... პენსიონერი ... მულაშვილი.

ვ. მამულაშვილი დაიბადა 1889 წელს თელავის მაზრის სოფელ ზემო ხოდაშენში. ღარიბი გლეხის ოჯახში. დაწყებითი განათლება სოფლის სკოლაში მიიღო. 1904 წელს გადმოდის თბილისში და იწყებს მუშაობას შავ მუშად. აქ იგი მონაწილეობს სოციალ-დემოკრატიული წრის მუშაობაში და ასრულებს სხვადასხვა პარტიულ დავალებას.

1905 წელს ვ. მამულაშვილი თელავისა და სიღნაღის მაზრების გლეხობაში ეწევიდა საგაგიტაციო მუშაობას. 1910 წელს გაიწვიეს შეფის არმიაში. იმპერიალისტური ომის წლებში იგი ფრონტზე იმყოფებოდა, სადაც მას მოუსწრო 1917 წლის თებერვლის რევოლუციამ. თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგ ვ. მამულაშვილი იბრძვის კონტრრევოლუციონერების წინააღმდეგ. 1917-1921 წლებში მონაწილეობას იღებდა მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებულ ბრძოლებში, რისთვისაც ორჯერ იყო დაპატიმრებული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იმყოფებოდა სხვადასხვა პასუხსაგებ პარტიულ და სამეურნეო სამუშაოზე.

ვ. მამულაშვილი რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

ძველი ბოლშევიკის, თავმდაბალი და ენერგიული მუშაკის ვ. მამულაშვილის ხსოვნა მუდამ იცოცხლებს მისი მეგობრებისა და ამხანაგების გულში

ამხანაგების ჯგუფი.

• ცნობისმოყვარეთათვის

ვინ შექმნა „ციცინათელა“

მეოცე საუკუნის გარიჟრაჟზე ქართული გიმნაზიის უკანასკნელი კლასის მოწაფემ, სიმღერით გატაცებულმა დავით ფალავამ ცნობილი ბუკინისტისა და საზოგადო მოღვაწის სოსიკო მერკველაძის ოჯახში, სადაც ალაკი ხშირი სტუმარი იყო, ქართველი ერის სათაყვანებელ მგოსანს უმღერა „ციცინათელა“. ალაკი წერთელი მოიხიბლა როგორც სიმღერის მელოდიით, ასევე ჰაბუკის ხმის ელერადობით და ფაქიზი შესრულებით.

ამის შემდეგ სიმღერა თანდათან პოპულარული გახდა და სულ მალე ქუთაისშიც გაჟღინაცვლა. იმ დროის ცნობილ მომღერლებს, ქუთაისის ქალაქური ფოლკლორის ენთუზიასტებს ბონდო და პიპინია მიქელაძეებს, კოკინია ოდგბუძესა და დანიელ ჯანაშვილს მოუწონათ „ციცინათელა“ და ხშირად მღერიდნენ მას.

უფრო გვიან კი „ციცინათელა“ ნოტებზე გადაღო კოტე ფოცხვერაშვილმა, შემდეგ კომპოზიტორმა გრიგოლ კოკელაძემ, ხოლო 1937 წელს მოსკოვში ქართული ხელოვნების პირველ დეკადაზე ჩონგურზე აახმიანა ექსესენტი მეგრელიანმ.

მრავალმა კომპოზიტორმა სხვადასხვა სახით გამოიყენა „ციცინათელას“ მელოდია. კომპოზიტორმა ბრთა მილორავამ თხუთმეტი წლის წინათ, საქართველოს სახელმწიფო კაპელისათვის მრავალხმიანი პოლიფონიური ორანჟირება გაუკეთა „ციცინათელას“, რომელსაც კაპელა წარმატებით ასრულებდა თავის კონცერტებზე.

„ციცინათელას“ დღესაც წარმატებით ასრულებენ გუნდები, კვარტეტები და იმღერიდნენ ინდივიდუალური შემსრულებლები ჩონგურისა და გიტარის თანხლებით, როგორც საბჭოთა კავშირში ისე საზღვარგარეთაც. „ციცინათელამ“ მსოფლიო შემოიარა, მაგრამ ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამ პოპულარული სიმღერის ავტორი იყო რესპუბლიკის დამსახურებული ექიმი **დავით ანტონის-ძე ფალავა.**

ლადო გეგეჭკორი.

მებაღურები მიდიან... მთებში

ზერავშანის (ჩრდილოეთ ტაჯიკეთი) სათავის მახლობლად განლაგებული მთის სოფლების მცხოვრებლები ხშირად სტუმრებს პატიუებენ, მთაში წავიდეთ თევზის დასაჭერადო, და თან ამბობენ: რაც უფრო მაღლა ავალთ, მით უფრო დიდ ნადავლს წამოვიღებთო.

რა აიძულებს თევზს მთებში ავიდეს?

— სითბოს ეძებს. — უპასუხეს საკლესიის კორესპონდენტს ტაჯიკეთის მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიისა და პარაზიტოლოგიის ინსტიტუტში. — ღამით ზერავშანის წყალი ცივდება. თევზის გუნდები იკრიბება იმ ადგილებში, სადაც მთის მდინარეს თბილი წყაროები ერთვის. შემდეგ კი გადაახტებიან ხოლმე პატარა ჩანჩქერებს და ზევით მიჰყვებიან თბილ და სწრაფ ნაკადებს.

მაგრამ არ უნდა იფიქროთ, თითქოს ზერავშანის მთელ თევზს მოელოდეს საფრთხე. საქმე ის არის, რომ თბილი ნაკადების დიდი უმრავლესობა კლდეებში ჩამოდის და მებადურებისათვის მიუწვდომელია.

დუშანბე

ლ. ლევიტინი.

ნუშის ყვავილობა.

ფოტოეტიუდი ს. კილაძისა.

საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი მამათში

მამათელებმა (ლენინგორის რაიონი) ამ დღეებში ერთი მეტად საინტერესო საქმე წამოიწყეს — კოლმეურნეობის კანტორის დიდ დარბაზში გახსნეს ქართველი საზოგადო მოღვაწეთა მუზეუმი. მუზეუმს ჯერჯერობით 43 სახელგანთქმულმა ადამიანმა გამოუგზავნა ფოტოსურათები, პიროვნი ნიუთები, ავტოგრაფები. აქ არის ჩვენი ხალხის ღვაწლმოსილი შვილების ი. ფეფუას, კ. გამსახურდიას, ი. აბაშიძის, ვ.. ანჯაფარიძის, ს. ზაქარიაძის, ა. ვასაძის, პ. ამირანაშვილის, უ. ჯაფარიძისა და სხვათა ავტოგრაფები, პირადი ნივთები, ჩანაწერები, მამათელთა თაოსნობისადმი მიძღვნილი პატარ-პატარა ბარათები.

ეი რას ეკითხულობთ კ. გამსახურდიას ბარათში:

„მამათის მუზეუმს. მივესალმები თქვენს ინიციატივას, გაახლებთ იმ შაბდალს, რომელიც მინათებდა ოქტომბრიდან ესინთალობის დროს და მმკვლელობა ჩემი ტეტრალოგიის „დავით აღმაშენებლის“ წერისას. მეგობრული სალამით კონსტანტინე გამსახურდია“.

რეკისორმა რევაზ ჩხეიძემ მამათის მუზეუმს გადასცა ქინოფილმ „ჯარსაცის მამის“ სარეჟისორო სცენარი. ნ. რამიშვილმა და ი. სუხიშვილმა მუზეუმს უსახსოვრეს ქალის თავსაფარი.

ბ. ჩხაიძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

• სპორტი

ხელგურთელებმა სტარტი აიღეს

დაიწყო ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ხელბურთში. ბაკოში გამოდის ქალთა და ვაჟთა ექვს-ექვსი კოლექტივი, დანარჩენი 12 გუნდი ბრძოლაში ჩაერთვება 14 აპრილიდან. თბილისში. ეს შეხვედრები იქნება ჩემპიონატის პირველი წრის პირველი ტური. მეორე ტური მოეწყობა რიგაში სექტემბრის დამდეგს.

შეუპოვარი გამოდგა პირველი

პირველი ადგილები გაიყვეს

გუშინ იუგოსლავიის ქალაქ სარაევოში დამთავრდა დიდი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში ვაუთათვის.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერი იუგოსლავი გროსმაისტერი ბ. ივკოვი იყო. რომელსაც 10 ქულა ჰქონდა 14-დან. სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. შტეინი მას მხოლოდ ნახევარი ქულით ჩამორჩებოდა. დასკვნითს ტურში ივკოვმა ყაიმით დაამთავრა პარტია ჩირინთან, ხოლო შტეინმა დაამარცხა კოზიმარი.

ამრიგად, პირველი ორი ადგილი ათანხევარ-ათნახევარი ქულით გაიყვეს საბჭოთა და იუგოსლავია მოჭადრაკეებმა ლ. შტეინმა და ბ. ივკოვმა. ვ. სავონამ ამერიკელ. გროსმაისტერ პ. ბენაკოსთან ერთად მესამე-მეოთხე ადგილები გაიყო და საერთაშორისო ოსტატის ნორმა შეასრულა.

უკანასკნელი ტურის წინ

ბაბუკ მოჭადრაკეთა მოსკოვის ტურნირზე, რომელიც მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრას წარმოადგენს, გათამაშდა ცხრა ტური.

მეცხრე ტურში ა. ბოკუჩავასა და სომხეთის ჩემპიონს ლ. გრიგორიანს პარტიაში ბოკუჩავამ მეტოქეს ორ პაიკში ფიგურა შეწირა, შემდეგ მესამე პაიკიც მოიგო და გაიმარჯვა. ლუკინ-შტეინბერგის პარტია ყაიმით დამთავრდა. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

უკანასკნელი ტურის წინ ლიდერს ა. ლუკინს 5,5 ქულა აქვს. ა. ბოკუჩავასა და ი. ბალაშოვს — ოთხნახევარ-ოთხნახევარი ქულა და თითო გადადებული პარტია. ლ. გრიგორიანს — 5,5 ქულა. მატჩები ბაკოში. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია სსრ კავშირის ჩემპიონის — მოსკოვის „კუზბასისა“ და ჩემპიონატის დებიუტანტის მინსკის „პოლიტეხნიკის“ ვაჟთა გუნდების შეხვედრა. მინსკელებმა ხელი იგდეს ინიციატივა და თამაშიც მათ მიჰყავდათ. ჩემპიონმა მხოლოდ ბოლო წუთებში შეძლო ჯერ წონასწორობის აღდგენა, შემდეგ გადამწყვეტი ბურთის გატანა და მატჩის მოგება 21:20.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელებს კაუნასის „ჟალგირისის“ ხელბურთელ ქალებსაც პირველი მატჩი დებიუტანტთან — მინსკის „ტეხნოლოგის“ გუნდთან ჰქონდათ. აქ კაუნასელთა უპირატესობა აშკარა იყო და გამარჯვებაც მათ ხელთა ანგარიშით 16:12.

ქ. ზაპოროჟიეს ვაჟთა გუნდმა დაამარცხა ლენინგრადის „ბოლშევიკის“ ხელბურთელები 18:15. ჩერკასკის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდმა მოუგო ბაქოს „სპარტაკს“ 10:9. ბაქოს არმიის სასპორტო კლუბისა და კაუნასის „ჟალგირისის“ ხელბურთელ ვაჟთა კოლექტივების შეხვედრის შედეგი 30:24 ბაქოელთა სასარგებლოდ. კრასნოიარსკის „ბურევესტნიკის“ ქალთა გუნდი დამარცხდა სვერდლოვსკის „კალინინეცთან“ 5:15.

ორი მსოფლიო რეკორდი

„მეგობრობის თასისათვის“ ბრძოლის მეორე დღეს — 8 აპრილს თბილისის სპორტის სასახლის ფიცარნაგზე გამოვიდნენ მსუბუქი, ქვესაშუალო და საშუალო წონის ძალოსნები.

მსუბუქ წონაში პირველი სამი ადგილი ასე განაწილდა: პ. ჯალაერი (ირანი) — 407,5 კილოგრამი, ვ. ნოვაიცევი (სსრ კავშირი) — 400 კილოგრამი და ბ. ფიტეი (რუმინეთი) — 379,5 კილოგრამი.

ქვესაშუალო წონაში ვ. კურენცოვმა მსოფლიოს ორი რეკორდი დაამყარა: აჯიმვაში — 155 კილოგრამი, სამჯიდში — 465 კილოგრამი. მანვე ამ წონაში პირველი ადგილი დაიკავა.

საშუალო წონაში გაიმარჯვა ბ. კოჩიევმა (საქართველო) — 470 კილოგრამი.



სურათზე: დ. შანიძე აკეთებს ამყარებს სსრ კავშირის ახალ რეკორდს.

ფოტო მ. ზარგარიანისა.

გრწყინვალე ფინიში

ლენინგრადის დიდ ასპარეზობას ცურვაში გზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზზე ფინიში ჰქონდა. არა მარტო ჩვენმა სპორტსმენებმა, არამედ სტუმრებმაც ჩინებული შეხვედგები აჩვენეს. საკმარისია ითქვას, რომ საბჭოთა მცურავებმა 11 რეკორდი განაახლეს. თავიანთი ქვეყნების არა ერთი (12) რეკორდი დაამყარეს აგრეთვე სტუმრებმა.

ტურნირის გმირი იყო 17 წლის მოსკოველი თამარა სოსნოვა. იგი ასპარეზობის უკანასკნელ დღესაც ჩინებულად გამოვიდა, 800 მეტრი თავისუფალი სტილით 10 წუთსა და 4,7 წამში გაცურა და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა. ეს ამ შეჯიბრებაზე თ. სოსნოვას მესამე რეკორდი და „კომსომოლსკაია პრავდის“ მესამე პრიზი იყო.

გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდის“ პრიზი მოიპოვეს შეიარაღებულ ძალთა მცურავებმა.

უფლების გამარჯვება

გუშინ თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა შეჯიბრება მოტორბოლაში წიდიან ბილიკებზე 500 კუბიკური სანტიმეტრის მანქანებით. ასპარეზობა დაძაბული ბრძოლით ხასიათდებოდა. პირველ ადგილზე გამოვიდა უფლი სპორტსმენი ბ. ბერილენკო. მეორე და მესამე ადგილებიც შესაბამისად აგრეთვე უფლებს ი. კლეხანოვსა და ა. კაჯირეს ხვდათ.

„საქართველოს აგიტატორი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები: ი. მაჩაიძე — ლენინი — ოქტომბრის ბელადი; ვ. ესაიაშვილი — ვ. ი. ლენინი და საქართველო; მინდვრის მშრომელებთან; ვ. ბაგლიკოვი — თანასწორთა კავშირი; შ. თეთვაძე — პირველი ხუთწლედები და პოლიტიკური მეშაობა; პ. თედეევი — სახელოვანი 45 წლისთავი; ნ. ასათიანი — ენთუზიასტთა კლუბი; კ. გორდელაძე — ბარბაროსობის ესკალაციაა; საფრანგეთი არჩევნების შემდეგ.

• ჩვენი სტუმრები •

ელვრის რაფდენობა

იუგოსლავიელი მომღერალი **რადმილა კარაკლაიჩი** თბილისელებმა ამ ოროდე წლის წინათ გაიცნეს. მხიარულმა, ექსპრესიულმა სიმღერებმა, უზადო საესტრადო ნიჭმა მომღერალს საქართველოში მრავალი თაყვანისმცემელი შესძინა, და აი რადმილა ხელმეორედ ეწვია თბილისს. მისმა კონცერტებმა დიდი ინტერესი გამოიწვია. ოპერის თეატრში საესტრადო ხელოვნების მოყვარულები იუგოსლავიელი მომღერლის კიდევ ერთი შესანიშნავი გამოსვლის მოწმენი გახდნენ.

ამჯერად ორივე განყოფილება მხოლოდ მას — ერთ მომღერალს უჭირავს. მისი რეპერტუარი საგრძნობლად განახლდა. რადმილა კვლავ გატაცებით მღერის. მისი სიმღერები უმთავრესად მხიარული, ლაღი და სიცოცხლით სავსეა, რადგან ასეთია მისი ბუნება. მან ამჯერად ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ალის ესტრადის ერთ-ერთი გამოჩენილი ნიჭიერი მსახიობი. იგი სცენაზე მოძრაობს თავისუფლად, გულწრფელად ესაუბრება მაყურებელს, ხუმრობს კიდეც და ყველაფერ ამას აკეთებს მაღალ პროფესიულ დონეზე.

რადმილა კარაკლაიჩი სიმღერებს ასრულებს იუგოსლავიის საესტრადო ორკესტრის თანხლებით, რომელიც ამავე დროს სცენაზე მომღერლის პარტნიორიც არის. მუსიკოსები მოძრაობენ, მღერიან, ერთი სიტყვით, ნამდვილი თანამედროვე საესტრადო მსახიობები არიან, რომელთა როლი კონცერტში არ არის შემოფარგლული მხოლოდ საკრავთა აყენებით. ისინი სიერთო წარმატების მონაწილენი არიან, და ამით მხარში უდგანან იუგოსლავიელ მომღერალს. რადმილა კარაკლაიჩი კი მღერის, მღერის უცნობსა და ნაცნობ სიმღერებს, გატაცებით, შეიძლება ითქვას თავდავიწყებით, ლაღად და მხიარულად.

ზ. რცხილაძე.

სურათზე: იუგოსლავიელი მომღერალი რადმილა კარაკლაიჩი.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ბრაკონიერებმა პასუხი უნდა აგონ

გაზაფხულდა. დნება უკანასკნელი თოვლი, მდინარეები იშორებენ ყინულის ჯავარს, მაგრამ ფრინველთა ერამაულს ზოგან არდგავს სროლის ხმა. მდინარეებსა და ტბებში იჭერენ ტოფობისთვის მიმავალ თევზს. აღე მოქმედებენ მტაცებელი-ბრაკონიერები, რა ღონისძიებებს ახორციელებს პროკურატურა ბუნებრივი სიმდიდრის დაცვისადმი ინტერესმაღალ საბრძოლველად? აი რა უთხრა საკდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის გენერალური პროკურორის პირველმა მოადგილემ მ. ჯ. მალიარუმმა.

ჩვენს ქვეყანაში ბუნებრივ სიმდიდრეს კანონი იცავს. საბჭოთა ადამიანებს. უყვართ და უფრთხილდებიან ბუნებას—შეესანიშნავ ტყეებს, ზღვებს, მდინარეებსა და ტბებს. ბრაკონიერობა დიდ ზარალს აყენებს სახელმწიფოს. აკრძალულ დროს და აკრძალული სამუალებებით ნადირისა და თევზის დახოცვის შედეგად მასობრივად სპობენ ცხოველებს, ანადგურებენ მათს შთამომავლობას.

ამ ბოლო წლებში მკვეთრად შემცირდა შვლების, ირმების, მუშვების, ჯეირნების, ნიამორებისა და სხვა ძვირფასი ნადირის რიცხვი. იშვიათად შეხვდებით სავათს, ბეღლს, წეროს, ვარხვს, სოოლს, ხოხობს. ყაზახეთის ველებში უკანონო ნადირობის დროს ყოველწლიურად ხოცავენ ათასობით საიგას. 1966 წლის მანძილზე მათი სულადობა დაახლოებით 300 000-ით შემცირდა. სულ უფრო იშვიათია ტაბების ჯოგი. ზოგიერთი ჯიშის ნადირი და ფრინველი თითქმის სულ მოისპო. მარტო ბაშკირ სახელმწიფო სანადირო ინსპექციის ორგანოებმა აღნიშნეს ნადირობის წესების დარღვევის 45 ათასი შემთხვევა.

დამდუბველ გავლენას ახდენს მდინარეებისა და ტბების ფაუნაზე სამრეწველო საწარმოთა გაუწმენდავი ჩამდინარე წყალი.

მაგალითად, ვოლგოგრადის ოლქში იმის გამო, რომ მდინარე მოწამლეს სამრეწველო ნარჩენებით, დაიღუპა ათასობით ზუთხი, სვია, ცქვრინი, რამდენიმე წლით შეფერხდა და შემცირდა მათი გამრავლება.

პროკურატურამ დამნაშავენი პასუხისგებაში მისცა და სასამართლომ დამსახურებული სასჯელი გამოუტანა. თითქოს ეს სერიოზული გაფრთხილება უნდა ყოფილიყო კანონის დამრღვევთათვის. მიუხედავად ამისა, სულ ცოტა ხნის წინათ ეს ამბავი ანგარაზე გახმეორდა. აქ, წინასწარი მონაცემებით, დაიღუპა 500 ტონა თევზი. საქმის გამოსაძიებლად ციმბირში გაიგზავნა განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებელი.

ამას წინათ ჟურნალმა „კროკოდილმა“ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ნადირსა და თევზს წყვეტენ ყზილ-აღაჩის ნაკრძალში კასპიის ზღვის ნაპირზე, სადაც გამოსაზამთრებლად რჩება მრავალი ჯიშის მიმიფრენი ფრინველი. სსრ კავშირის პროკურატურამ გასცა განკარგულება, რომ დამნაშავენი დაუყოვნებლივ მისცენ პასუხისგებაში.

ჩვენდა საუბედუროდ ბრაკონიერებმა საბჭოების აღმასკომებიდან არსებული ადმინისტრაციული კომისიები ხშირად ლიბერალურად ეკიდებიან კანონის დამრღვევებს, აჭიანურებენ მათ შესახებ მასალების განხილვას.

ნადირობის წესების დარღვევის შესახებ ადმინისტრაციულ კომისიაში შარშან შემოსული მასალების ნახევარზე მეტი დღემდე არ განუხილავთ. მაგალითად, მარტო ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში ბრაკონიერებისათვის არ გადაუხდევინებიათ 120 ათასამდე მანეთი ჯარიმა. ზოგიერთი პროკურორი ან აჭიანურებს ბრაკონიერთა საქმის გამოძიებას, ან დაუსაბუთებლად უარს ამბობს ასეთი საქმეების აღძვრაზე.

ბრაკონიერობა იმდენად გავრცელდა, რომ ზოგჯერ იარაღით ხელში უწევენ წინააღმდეგობას თანამდებობის პირებს, თავს ესხმიან მონადირეებსა და სხვა მუშაკებს, რომლებიც ბუნებრივ სიმდიდრეს იცავენ.

ამასთან გაუგებარია დაცვის მუშაკთა გაუბედაობა, რომლებიც ზოგჯერ შეტად ლმობიერად ეპყრობიან დამნაშავეებს. ბუნების დაცვის ორგანოების თანამდებობის პირები, საზოგადოებრივი ინსპექტორები და მოქალაქენი, რომლებიც ეხმარებიან მათ ბრაკონიერთა დაკავებაში, ისევე მტკიცედ და გაბედულად უნდა მოქმედებდნენ, როგორც გამფლანგველთაგან სახალხო დოვლათის დაცვის დროს. ბუნების დამცველებს კანონი უფლებას აძლევს გამოიყენონ თავდაცვის საჭირო ღონისძიებანი და სამუალებანი, როგორც ყოველი დამნაშავის დაკავების დროს.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სახელმწიფო სამონადირეო ინსპექცია. წყალდაცვისა და თევზდაცვის ორგანოები ჯერ კიდევ საკმაოდ აქტიურად და ეფექტიანულად ვერ აკლევენ და აღკვეთენ ბუნების დაცვის კანონების დარღვევას. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებიდან არსებული ადმინისტრაციული კომისიები ხშირად ლიბერალურად ეკიდებიან კანონის დამრღვევებს, აჭიანურებენ მათ შესახებ მასალების განხილვას.

ბრაკონიერებს ეღირებათ ეფექტური ბრძოლა ამ ბოროტების წინააღმდეგ. მეტეგრეთი ხასიათი უნდა ჰქონდეს ბუნების დაცვის ორგანოების მოქმედებას. ბრაკონიერები არ უნდა შეეიწყალოთ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის 1964 წლის 27 მარტის ბრძანებულებით გაადიდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა თევზჭერისა და თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევისათვის.

აკრძალულ ადგილებში უნებართვოდ ან აკრძალული სამუალებებით ნადირობისათვის დამნაშავენი სასამართლოს განაჩენით შეიძლება გაიგზავნონ გამასწორებელ სამუშაოებზე. აკრძალული ნადირობა მხეცებსა და ფრინველებზე, ან უკანონო ნადირობა, რასაც დიდი ზარალი მოსდევს, ისჯება თავისუფლების აღკვეთით. ერთ წლამდე პატიმრობა, ამასთან ნანადირევის, თევზჭერის იარაღებისა და სავურაო საშუალებათა კონფისკაცია მოელით ბრაკონიერ მეთევზეებს.

თუ ამ დანაშაულს ხელმეორედ ჩაიდენენ, ან დაკავშირებული იქნება ძვირფასი ჯიშის თევზისა თუ ზღვის ცხოველების დაჭერასა ან გაფყვიტასთან, დამნაშავეებს შეიძლება აღკვეთოთ თავისუფლება ოთხ წლამდე ვადით და ჩამოერთვათ ქონება. ყველაფერი უნდა ვიღონოთ, რომ განუხრელად იცავდნენ აღნიშნული კანონების მოთხოვნებს.

სსრ კავშირის პროკურატურამ სპეციალური მითითებანი მისცა პროკურორებს გააქტიურონ ბრძოლა ყოველნაირი ბრაკონიერობის წინააღმდეგ. ბრაკონიერობის საქმეები დაუყოვნებლივ უნდა განიხილონ.

პროკურატურის ორგანოები მთელი სიმკაცრით უნდა მოეკიდონ ფარეფვის საწარმოთა იმ ხელმძღვანელებს, რომლებიც თავიანთი დაუდეგრობის გამო ხელს უწყობენ წყალსატეგების გაჭუჭყიანებას ჩამდინარე წყლებით.

ბუნების დაცვა,- თქვა დასასრულ ამხ. მალიარუმმა, დიდმნიშვნელოვანი სახელმწიფო ამოცანა და მთელი ხალხის საქმეა.

„საქართველოს აგიტატორი“ № 7

გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდის განყოფილების ჟურნალ „საქართველოს აგიტატორის“ მორიგი, მეშვიდე ნომერი.

ჟურნალში დაბეჭდილია სტატიები: ი. მაჩაიძე — ლენინი — ოქტომბრის ბელადი; ვ. ესაიაშვილი — ვ. ი. ლენინი და საქართველო; მინდვრის მშრომელებთან; ვ. ბაგლიკოვი — თანასწორთა კავშირი; შ. თეთვაძე — პირველი ხუთწლედები და პოლიტიკური მეშაობა; პ. თედეევი — სახელოვანი 45 წლისთავი; ნ. ასათიანი — ენთუზიასტთა კლუბი; კ. გორდელაძე — ბარბაროსობის ესკალაციაა; საფრანგეთი არჩევნების შემდეგ.

ტელევიზია

9 აპრილი

09.30 — დაუსწრებელი სწავლების სტუდენტთა დასასმარებლად — ლექცია მათემატიკაში. 11.00 — „მოლვიძარა“ (გადმოცემა მოსკოვიდან). 11.30 — მხატვრული პროგრამა (შესვენების დროს ინგლისური ენის გაკვეთილის გამეორება (მე-7 გაკვეთილი). 16.55 — გადაცემათა პროგრამა. 17.00 — გადაცემა საბჭოთა არმიის მეომრებისათვის. 17.30 — ფილმ-სპექტაკლი „დონ სეზარ დე ბაზანი“. 19.05 — სპორტული გადაცემა. 20.30 — ლიტერატურული ჟურნალი. 21.00 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 21.25 — გადაცემათა პროგრამა 10 აპრილისათვის. 21.30 — მხიარულთა და საზრიანთა კლუბი (გადმოცემა ოდესიდან). 23.30 — კონცერტი (გადმოცემა მოსკოვიდან).

ჩუ ვიცოდეთ, ჩუ ვოვისეილოთ

მეცხრე არხით — ცენტრალური ტელევიზიის პროგრამა. დასაწყისი დილის 11 საათიდან.

10 აპრილი

09.30 — უმაღლეს სასწავლებლებში შემსვლელთა დასახმარებლად — ლექცია მათემატიკაში. 10.40 — უნგაროელი კინოკომედია „ჩემი სისულელის ისტორია“ 17.55 — გადაცემათა პროგრამა. 18.00 — ყველაზე პატარებისათვის („ცეროდენა ეკრანი“. 18.10 — ოქტომბრელთათვის „ჩვენ ვსწავლობთ ინგლისურს“ (მეექვსე და მეშვიდე გაკვეთილების გამეორება). 18.40 — განცხადებები. 18.45 — მშობელთა ტელეუნივერსიტეტი „სკოლა და ოჯახი ახალი ამოცანების წინაშე“. 19.00 — კინონარკვევი. 19.10 — დიადი თარიღის შესახვედრად — „საქართველოს სამრეწველო განვითარების მატიანეები“ (გადმოცემა პირველი). 19.30 — ახალი ამბები (ქართულ და რუსულ ენებზე). 19.50 — კინონარკვევი. 20.00 — უკრაინისა და ამიერკავკასიის რესპუბლიკების კინოფესტივალის გახსნა. 20.35 — კინონარკვევი. 20.55 — მუსიკალური სკოლების რესპუბლიკური დათვალიერება (სოხუმის მუსიკალური სასწავლებელი). 22.55 — გადაცემათა პროგრამა 11 აპრილისათვის. 23.00 — ხელოვნების ოსტატები — ზბიგნეკ ციბულსკი (გადმოცემა მოსკოვიდან).

**მე